3-47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

1928 სახელგამი № 11

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თითოეულმა გავშმა

# უნდა გამოიწეროს და იკითხოს

## ორკვირეული ჟურნალი

# „პიონერი“

შინაარსი:


| | | |
|---|---|---|
| 1. | შორეულ ჩრდილოეთში—ა. პეტრიაშვილის | 2 |
| 2. | წვიმა—ლექსი ი. ვაკელის | 4 |
| 3. | ორი მხედარი—ს. კამარელის | 5 |
| 4. | სანაპირო ქალაქი (განგრძობა)—ს. კასრაძის | 11 |
| 5. | პიონერის ფიცი—ლექსი კალე ბობოხიძის | 15 |
| 6. | ჩე-უ-ლი და ლი-იუ-ჩან—შ. ფარცხნალელის | 16 |
| 7. | როგორ უნდა მოვეწყოთ საექსკურსიოთ | 18 |
| 8. | პიონერთა გამოფენაზე—ე. შმერლინგის | 19 |
| 9. | როგორ ვიკითხოთ წიგნები | 20 |
| 10. | საბჭოთა კავშირის მიღწევები ელექტროფიკაციის დარგში | 22 |
| 11. | ჭადრაკი | 23 |
| 12. | საზაფხულო გამოცანები | კანზე. |

329.153 (05)
3-47
საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასის საქმისათვის იქმენ მზად!

# პიონერი

1928
15 ივნისი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური მიწოს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ჟურნალი მაკშემისათვის

წელიწადი III
№ 11

პიონერები აკეთებენ რადიომიმღებს.

# შორეულ ჩრდილოეთში

— როგორც ვხედავ, განსაცდელში ვართ, აქედან დაძვრა შეუძლებელია! —მიმართა შტურმანს გემის „ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ კაპიტანმა.

— ჰაი რომ ეგრეა! ნისლებმა გზა დაგვაკარგვინა და პირდაპირ ყინულის მთებს შორის გავეჩხირეთ,—უპასუხა შტურმანმა.

ისინი იდგენ ბაქანზე და ოკეანის სივრცეს გაჰყურებდენ. რომელ მხარეზედაც არ გაიხედავდი, ყველგან ერთმანეთზე მიდგმული, ყინულის ატორტმანებული უზარმაზარი კლდეები იყო, რომელთა მწვერვალები, მზეზე აბრჭყვიალებულნი, ბროლივით გამოკრთოდა.

გემი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ ყინულეთის გაუვალ სამყაროში ამოდ ბარბაცებდა. აწვდენილი ანძები უკვე თეთრი თოვლით შეიმოსა და ბაქანს ყინულის გამჭვირვალე სქელი ქერქი გადაეკრა.

გემმა უკანასკნელად თითქო დაიხროტინა, უკანასკნელად ერთხელ კიდევ მილებიდან დაბურთული შავი კვამლი ამოაგდო და უცებ შეჩერდა, შესდგა. ირგვლივ კი სამარისებური სიჩუმე იყო და ტყვექმნილი გემი გათოშილ მინდორზე განართხულ, ფრთამოტეხილ ფრინველივით საცოდავად გამოიყურებოდა.

კაპიტანი ღელავს, სუნთქვაშეგუბებული გემის მოაჯირს გადაჰყურდნობია და უძილობისაგან ჩაღამებული თვალებიდან გამოურკვევლობის ბურუსი და კაეშანი გამოსჭვივის. ამავე გემზე მასთან ერთად მოგზაურობს მისი ცოლი და ორი შვილი—მარო და მიხა. რა მოელის მათ? როგორ შეუძლია დაეხმაროს? როცა სურსათ-სანოვაგე დაელევათ, როგორ გადაიტანენ გემზე ჩამოვარდნილ შიმშილობას და უიმედობას? შორეულ ნავსადგურებს უკვე რამდენიმეჯერ აცნობეს რადიოთი გემის განსაცდელის შესახებ, საიდანაც უნდა გამოეგზავნათ ყინვის მტეხავი გემები, რომელნიც „ჩრდილოეთის ვარსკვლავს“ გზას გაუკვალავენ.

როცა დედამ გაიგო გემის შეჩერების მიზეზი, ძლიერ შეწუხდა, ბავშებს კი არავითარი შიში და დაღვრემილობა არ დასტყობიათ, პირიქით, რატომღაც თვალები სიხარულით გაუბრწყინდათ.

— მერე რა მოხდა? ჩვენ მაინც არ მოვიწყენთ,—გადასწყვიტეს ბავშებმა. —კარგს ვიზამდით თან წრიალები წამოგველო, ყინულზე ვინავარდებდით.

მიხა ძლიერ ჯანსაღი, ღონიერი და ამასთანავე ჭკვიანი და წინდახედული ბავში იყო. მისმა გიჟმაჟმა, მკვირცხლმა და დაუდეგარმა ბუნებამ ჩქარა მოხიბლა კეთილი მეზღვაურები, რომელნიც მას დიდის პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდენ. შტურმანმა მას აჩუქა სანადირო თოფი და მეზღვაურმა კლიუჩინმა კი ერთ მზიან დილით ასწავლა მარხილში ძაღლების შებმა და მარხილის წაყვანა.

დამხმარე გემის მოლოდინში ზანტად და უფერულად მიდიოდა დღეები. „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ მოუთმენლობამ და მოწყენილობამ შეიპყრო. ეკეანეზე შედარებით დათბა, მაგრამ დროგამოშვებით დასავლეთიდან ამოვარდებოდა თოვლის ქარიშხალი, და გემი მოულოდნელად ქარბუქის თეთრ ნისლში გამოეხვეოდა.

ყოველ დილით აღმოსავლეთიდან თავს ამოყოფდა აელვარებული მზე, ლაჟვარდზე უზარმაზარი წითელი ბურთივით ამოვარდებოდა, გემს ცივ სხივებს უხვად დააყრიდა, შემდეგ ნელი სრბოლით დასავლეთისკენ დაეშვებოდა, სადღაც ოკეანეს უსივრცო ზედაპირზე კიდევ ერთხელ უილაჯოდ აკიაფდებოდა და... ჩქარა ისევ გამოჩნდებოლა ვარსკვლავებით თეთრად გადაპენტილი ცა.

პირველ ხანებში მიხას სიხარული უსაზღვრო იყო. ის ხშირად მიდიოდა მამასთან და შტურმანთან ერთად პოლიარულ ფრინველებზე და გარეულ იხვებზე სანადიროდ. მან უკვე კარგად იცოდა მარხილის წაყვანა. გაწვრთნილ ძაღლებს შეაბამდა, მარხილში მაროს ჩასვამდა და, სანამ არ მოწყინდებოდათ, ერთი ყიჟინით და ჟრიამულით დაქროდენ გემის ახლო, რადგან მამამ აუკრძალა მათ შორს გასეირნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალო „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ ერთი კვირაა არ დაძრულა. ერთფეროვნად მიდიოდა დღეები და მუდამ ცელქი, მხიარული მიხას მუდამ ღიმილიან სახეზე მოწყენილობამ დაიბუდა.—არა, სულ ასე გაჩერება პირდაპირ აუტანელია,—გაიფიქრა მან. მართალია, მიხა მამას უჯეროდა, ცდილობდა გემს დიდი მანძილით არ მოშორებოდა, მაგრამ ოკეანეში შორი მოგზაურობის წყურვილით შეპყრობილი მაინც ვერ ისვენებდა. და აი, ერთხელ მხარზე თოფი გადაიკიდა, ძაღლები მარხილში შეაბა, შიგ მარო ჩასვა, ერთი თავისებურად დაუსტვინა, და ატოკებული მარხილი ყინულზე ელვის სისწრაფით გასრიალდა.

გზაში მიხამ მაროს გაუმჟღავნა საიდუმლო, რომ რამდენიმე მილის დაშორებით გემიდან მას ეგულება უზარმაზარი გამოქვაბული, რომელიც უთუოდ უნდა ინახულონ.

— მერე, ეს ხომ ძლიერ შორს იქნება?—შეშინდა მარო.

— ძაღლები ფეხმარდნი არიან. ჩქარა მივალთ,—დაამშვიდა მიხამ. — გამოქვაბული სავსეა ათასგვარი პოლიარული ფრინველით, მე შენთვის მოვკლავ ერთ ფრინველს, რომელსაც ამოირჩევ. დიდებული სანახავია. გამოქვაბული მთელი სასახლეა!

წინ გადაჭიმული იყო ყინულოვანი დაუსრულებელი ველი, მბრწყინავი და სარკესავით აელვარებული. ძაღლები ოთხამოღებით გარბოდენ. გემი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ თანდათან უფრო და უფრო პატარავდებოდა და ჩქარა ისიც თვალს მიეფარა, შორ სივრცეში თითქოს ჩაქრა, მიილულა. მარხილი სრიალით მიჰქროდა უსაზღვრო ველზე და ბოლოს გამოჩნდა ყინულის გამოქვაბული.

პატარა მოგზაურებმა ძაღლები შეაჩერეს, მარხილიდან ჩამოხტენ და გამოქვაბულისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურენ. მარო დაიბნა, გაკვირვებისაგან პირდაღებული შეჰყურებდა ბუნების ამ იშვიათ სანახაობას და თვალს არ უჯეროდა. მზის წითელ სხივებზე ლაპლაპებდენ ყინულის სახლები, უზარმაზარი სვეტები, კიბეები, რომელთაც ბროლებივით ჩამოკიდებოდა სხვადასხვა ფორმის ყინულის ჩუქურთმები. ირგვლივ ყველაფერი რაღაც მტრედისფერი, იდუმალი სინათლით გამოკრთოდა. ბავშვებს ჯერ არასდროს არ ენახათ ასეთი თვალწარმტაცი სანახაობა. სულგანაბულნი, აღტაცებულნი ისინი დიდხანს ათვალიერებდენ გამოქვაბულის კედლებს და მათი თვალები ამოუკითხავი ნეტარებით და სიხარულით მეტყველებდენ.

მაგრამ ცის დასავლეთში ჩასასვლელად გამზადებული მზე ჩქარა დაღამებას უქადდა, გემამდე კი კარგა შორი მანძილი იყო გასავლელი. ბავშვებმა საჩქაროდ გამართეს მარხილი და წასასვლელად გაემზადენ, რომ ამ დროს ძაღლებმა გულსაკლავი ყეფა-წკმუტუნი ასტეხეს, შიშისაგან ერთმანეთს ეკვროდენ.

მარხილიდან ცოტა მოშორებით, ყინულის მაღალ კლდეზე იჯდა უზარმაზარი თეთრი დათვი, რომელიც უცხო სტუმრებს დინჯად, მეფური სიდიადით გადმოჰყურებდა.

მიხამ როცა ეს დაინახა, სადავეები ხელთ მოიმარჯვა და ძაღლებს მათრახი ისე მძლავრად გაუტლაშუნა, რომ მათ ყეფას თავი ანებეს და, რაც ღონე შესწევდათ, ყინულის ველზე ოთხამოლებით გაექანენ.

კლდეზე წამომჯდარი დათვი ჯერ უკანა ფეხებზე აიმართა, ერთი ლაზათიანად გააზმორა, მერე პირი შემზარავად დააღრინა, საიდანაც საშინელი ღმუილი აღმოხდა, უეცრად კლდიდან ისკუპა და მარხილს ქარის სისწრაფით აედევნა.

ძაღლები სირბილით მოიქანცენ, ღონეგამოლეულნი უკვე უილაჯოდ მიბაჯბაჯებდენ, უკნიდან კი საშინელი ღმუილი თანდათან უფრო და უფრო ახლოვდებოდა. კიდევ რამოდენიმე წუთი და... საშიში მდევარი უკვე მარხილს წამოეწია. შეშინებული მარო აცახცახებული სხეულით ეკვრება მიხას, მიხა კი არ დაიბნა... მსწრაფლ განსჭვრიტა მოსალოდნელი უბედურობა, ძაღლებს სადავეები მოსწია, უცებ მარხილი შეაბრუნა და ამრიგად საშინელ მტერს დაუპირდაპირდა. ეტყობოდა, დათვი ძლიერ გაბრაზებული იყო. მძლავრი თათებით სწვდა მოწინავე ძაღლს, ძირს დაანარცხა და ბასრი კბილები ყელში ჩაასო... დანარჩენი ძაღლები მსწრაფლ გარს შემოერტყენ საშინელ ავაზაკს და გაბეს ყეფა-წკმუტუნი. ერთი ყველაზე უფრო გამბედავი ძაღლი პირდაპირ იერიშით მიიჭრა, დათვს უკანა ფეხში ჩააფრინდა და გაჩაღდა ხელჩართული ომი. შეშინებულ მიხას გული ბაგაბუგით უცემდა, მაგრამ წამს მთელი თავისი ღონე და ნებისყოფა მოიკრიბა, მხარიდან თოფი გადმოიღო, დათვს დიდხანს უმიზნა და... უცებ თოფმა იჭექა. სასიკვდილოდ დაჭრილმა დათვმა საზარლად შელმუვლა, შებარბაცდა და ყინულზე მოწყვეტილად გადაგორდა. ტყვია მარცხენა ყვრიმალში მოხვედროდა, საიდანაც შადრევანივით გადმომდინარე სისხლმა ყინულის თეთრი ზედაპირი წითლად აალიელივა.

ამ დროს მახლობელ ყინულის მთასთან რაღაც ყიჟინა გაისმა. შეზღვაურების ერთი ნაწილი კაპიტნის მეთაურობით მარხილის ნაკვალევზე ბავშების მოსაძებნად წამოსულიყო. ისინი მიუახლოვდენ შეთხვევის ადგილს. მარხილთან იდგა გამარჯვებული მიხა და მეგობარ მეზღვაურებს უსაზღვრო სიხარულის გამომეტყველი სახით შეღიმოდა.

მამამ მიხას მკაცრად გადახედა, რომ ასეთი თავხედი მოქცევისათვის დაეტუქსა, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა ყინულზე განართხულ უზარმაზარ დათვს, რომელსაც თეთრ, ბანჯგვლიან თათებში ცხვირი ჩაედო და მარცხენა ყვრიმალიდან ანკარა სისხლი ცვარცვარად ჩამოსდიოდა. განცვიფრებული კაპიტანი ხან მოკლულ დათვს აკვირდებოდა, ხან გამარჯვებულ ბედნიერ მიხას.

— შვილო მიხა, ყოჩაღი ვაჟი ყოფილხარ, შენგან კარგი მონადირე და თავდადებული წითელარმიელი გამოვა, —ათრთოლებული ბაგეებიდან აღმოხდა მას.

მიხამ და მარომ ამ სიტყვებზე მხიარულად გადიკისკისეს. აყიჟინებული მეზღვაურები ხელით სინჯავდენ დათვის რბილ სხეულს, შემდეგ მარხილში ჩადვეს და გემ „ჩრდილოეთის ვარსკვლავზე“ დიდის ზეიმით დაბრუნდენ. იმ საღამოს დათვის ხორციდან მშვენიერი ვახშამი მოამზადეს. მშიერი მეზღვაურები მოხრაკულ ხორცს მადიანად შეექცეოდენ და მიხას უქებდენ გამბედაობას, მარო კი მათ უამბობდა გამოქვაბულის სასწაულებრივი მოწყობილობის და ძვირფასი ჩუქურთმების შესახებ.

გახარებული დედი შვილების თავგადასავალს გულდასმით ისმენდა. დანაოჭებულ სახეზე მას განსაკუთრებული სიამაყის ელფერი გადაჰკრავდა.... მთელი გემი ზეიმობდა, ბედნიერ მიხას გამარჯვებას ულოცავდენ.

მეორე დღეს მოვიდა დამხმარე გემი, პირშეკრული სქელი ყინვა გაამტვრია, „ჩრდილოეთის ვარსკვლავს“ გზა გაუკვალა, უკანასკნელმაც გრძელი მილებიდან აუშვა სქელი ორთქლი, ერთი შეტორტმანდა და მახლობელი ნავსადგურისაკენ გუგუნით გასწია.

მიხას გმირობის მოსაგონარად კაპიტნის კაიუტაში ტახტზე გადაფარებულია ძვირფასი თეთრი დათვის ტყავი, რომელიც ცივ ღამეებში კაპიტანს საბნის მაგიერობას უწევს.

ა. პეტრიაშვილი.

## წვიმა

რა ზავთიანი დღე იყო გუშინ,
იდგა ალმური ცხელი და მძიმე.
უცებ ატირდა ღრუბელი ქუში
და წამოვიდა ჟუჟუნა წვიმა.
შემდეგ გადიღო, თუმცა აქა-იქ
ჩანდა ღრუბელი თითო-ოროლა,
მინდვრად ამღერდა გუთნისა დედა,
ველიდან ზარს რეკს ჭრელი ტოროლა.

ი. ვაკელი

# ორი მხედარი

## 1. საფრთხე.

ეს ამბავი დაახლოვებით შვიდი წლის წინათ მოხდა.

დღევანდელი საბჭოთა რუსეთის უდიდეს ნაწილში ძალა-უფლება მუშებმა აიღეს, მაგრამ შავი ზღვის პირად მდებარე ყირიმის ნახევარკუნძული და ყუბანის დიდი ნაწილი იმ ხანებში თეთრებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული.

თეთრები საბჭოთა ხელისუფლებასთან გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდენ ჯერ გენერალ დენიკინის და შემდეგ ვრანგელის მეთაურობით, მათი მიზანი იყო მუშებისა და გლეხების მიერ მოპოვებული ძალა-უფლების დამხობა, სოციალისტური რევოლუციის სისხლში ჩახრჩობა და ძველი იმპერიალისტური რუსეთის და მეფობის აღდგენა თავისი ბატონობის, მამულების და, საერთოდ, დაკარგული ქონების და დიდების დასაბრუნებლად. თეთრების ჯარი უმეტეს ნაწილად კარგად გაწრთვნილი ყოფილი ოფიცრების და მდიდრების შვილებისაგან შესდგებოდა. ისინი ხშირად ესეოდენ სოფლებს და ვაი იმ ადგილს, სადაც გაივლიდენ! პირუტყვებს ჰკლავდენ, ნათესებს ანადგურებდენ, ცეცხლს უკიდებდენ და ვისაც კი კოჟრიან ხელს უნახავდენ, ან ბოლშევიკობას შესწამებდენ,—ყველას ხვრეტდენ, ან ახქალაქის დიდ მოედანზე ამართულ სახრჩობელებზე ახრჩობდენ.

ნიკო და ვანო ყუბანის ერთი სოფლელი მუშის შვილები იყვნენ.

მათი მამა თედო სიჭაბუკიდანვე ქალაქ დონის როსტოვის ქარხნებში მუშაობდა. ის თავიდანვე გაიტაცა მუშათა მოძრაობამ, შევიდა პოლიტიკურ წრეში და იმ ხანებში ამხანაგებში ერთ-ერთ პატიოსან მუშად და შეგნებულ კომუნარად ითვლებოდა. თეთრებთან ბრძოლის დროს თედო ერთ პატარა ქალაქში დაბანაკებული წითელი ლაშქრის ნაწილში მსახურებდა და საპასუხისმგებლო ადგილი ეკავა. ცოლშვილი სოფელში ჰყავდა. შინ იშვიათად დადიოდა, მაგრამ როცა მოდიოდა, ოჯახში ხალისი და მხიარულება მოჰქონდა.

თედო პირველად ბავშებს მივარდებოდა.

ბავშებიც, რომლებიც დედასთან უფრო ხათრიანად იყვნენ, თედოს შეხედვაზე ცოცხლდებოდენ და ცელქობას იწყებდენ. ნიკო მამას ზურგზე ახტებოდა, ვანო მუხლებზე უჯდებოდა და „აჩუ ცხენოს“ იძახოდა. თედო შეინძრეოდა, ბავშები „ცხენიდან“ ცვიოდენ, მაგრამ ისევ ახტებოდენ.

— მამა, ქალაქში ბევრი არიან კომუნისტები? იმათაც ტყავის ქურთუკები აცვიათ?

— რომ გავიზრდები, მეც კომუნისტი ვიქნები.— იჩემებდა ნიკო.

— მეც, მეც ვიქნები, მამილო!—აცხადებდა ვანო.

— მე წითელი მეთაური ვიქნები.

— მეც წითელ ლაშქარში ჩავეწერები!..

ერთ ღამეს თედო ქალაქიდან დაბრუნდა.

შუაღამე გადასული იყო.

ცხენი ეზოში ფრთხილად მიაბა და ფეხაკრეფით სახლში შემოვიდა.

— ჩუმად...—დაუძახა დედას:—უნაგირის მოხდა საჭირო არ არის: დილამდე ისევ უნდა წავიდე.

ბავშებს არ ეძინათ. მათ გაუკვირდათ მამის სიფრთხილე, რომელიც ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა, თითქოს ვილაცას ემალებოდა, და ყურები დაცქვიტეს.

დედას ყვითელი ფერი ედო და ხშირად ფანჯრისკენ იყურებოდა, თითქოს ეშინოდა არავინ მოსულიყო.

მამაც წარბშეკრული იყო. მაგიდასთან ჩამოჯდა, მარჯვენა ხელი მუხლზე დაიდვა, მარცხენა შუბლზე ჰქონდა მიყრდნობილი და რაღაცას ფიქრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშები მიხვდენ, რომ რაღაც საყურადღებო ამბავი უნდა მომხდარიყო. მათ თვალებს ძილი აღარ ეკარებოდა.

ერთი საათის შემდეგ მამასთან მოგროვდენ სოფლის კომუნისტები: ვასო — აღმასკომის თავმჯდომარე, სიკო — თემკომის მდივანი და სხვები და რაღაც დიდ საქმეზე საიდუმლო თათბირი გამართეს.

ბავშებმა გარკვევით გაიგონეს მამის სიტყვები, რომელიც ჩუმად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა:

— საფრთხე დიდია... შეიძლება ყველაფერი დაიღუპოს... მტრების ბანდები წინ მოიწევენ... უნდა მოვემზადოთ... შეიძლება აქაც მოვიდენ.

— რას ამბობ, როგორ იქნება! — ჩაურთო ვასომ.

— დენიკინელი თეთრების მეთაურმა ჩვენი ხაზი გაარღვია... არ მოველოდით... ახლა ჩვენები ფეხზე არიან დამდგარი. ამბობენ: თეთრები ყველაფერს ანადგურებენ და ბავშებსაც ხოცავენო.

დედამ ამოიოხრა.

— ფრთხილად იყავით... არაფერი გამოგეპაროსთ. თუ რამე ამბავი მოხდა, მაშინვე ცნობას მოგცემთ ქალაქიდან. ყველამ თვალყური ადევნეთ, ყველა საბუთი შეკარით და თუ გახიზვნა დაგჭირდა, თან წაიღეთ, არაფერი დატოვოთ...

ნიკომ ჩათვლიმა და მალე ჩაეძინა. მამის ზემონათქვამი სიტყვების შემდეგ აღარაფერი გაუგონია.

როცა გათენდა, მამა აღარსად იყო.

ნიკომ აივანზე გაიხედა.

მან დაინახა, რომ ძილგამკრთალი დედა თვალდაწითლებული აივნის სვეტს მიყუდებოდა, მხრები მოეკეცა, მარჯვენა ხელისგული ლოყაზე მიებჯინა და თვალებიდან ცრემლები ცვიოდა.

*
* *

გავიდა ხანი...

მამისგან არავითარი ცნობები არ მოდიოდა.

ქალაქიდან დაბრუნებული გლეხები ამბობდენ, რომ იქ სამხედრო წესები იყო გამოცხადებული.

ყველას აღელვება ეტყობოდა და ყველა რაღაც დიდ ამბავს მოელოდა.

სოფელში თეთრების შესახებ ათასგვარი ხმები დადიოდა. ამბობდენ, რომ კონტრრევოლუციონერი ყაზახების უფროსი მამონტოვი ყველა კომუნისტს სარებზე აცვამს და მათ ცოლშვილს ცოცხლად სწვავსო.

ვანოსა და ნიკოზე ეს ამბები განსაკუთრებით საშინლად მოქმედებდენ.

ყველაზე უფრო მათ მამის მდგომარეობა აღელვებდათ.

ერთ საღამოს, როცა მათ ყოფილი მემამულის ბაღთან გაიარეს, ბავშებმა ბაღის ღობესთან შეგროვილი „ყოფილი ხალხი“ დაინახეს, რომლებიც კედელს მიყრდნობოდენ და რაღაცაზე ბაასობდენ.

პეტრე დიაკონი წინ წამოდგა და დაიძახა:

— აქაურებს ჩვენ თვითონ გავუმკლავდებით, ყველას ძირბუდიანად ამოვაგდებთ. მაცალოს თედომ, მე იმას ჩავამწარებ ყველაფერს! მაგ ვაჟბატონის გულის ჯავრს მოკლე ხანში ამოვიყრი!

ბავშებმა რომ მამის სახელი გაიგონეს, ხელად გაინაბენ. ნიკომ მუჯლუგუნით ანიშნა ვანოს, რომ ხმა არ ამოეღო და ორივენი ჩუმად შამბებში ჩაწვენ.

ბავშები მხოლოდ ახლა მიხვდენ, თუ რატომ მოვიდა უკანასკნელად მამა ისე გვიან, რისთვის მსჯელობდენ ჩუმად მამასთან ღამით მოსული კომუნისტები და რა იყო მამის შეუმჩნევლად წასვლის და დედის ტირილის მიზეზი.

როცა შინ დაბრუნდენ, უნდოდათ დედისთვის ყველაფერი ეთქვათ, რაც კი გაიგონეს, მაგრამ მალე აზრი შეიცვალეს, რადგან მიხვდენ, რომ გლეხების საუბრის გაგებით დედა კიდევ უფრო შეშინდებოდა.

ნიკოს მთელი ღამე არ სძინებია. სულ მამაზე ფიქრობდა. ფოთლების უბრალო შრიალზე, ან მცირე ხმაურზე მას ეჩვენებოდა, თითქოს მამა მოდის, ღობესთან ჩასაფრებული გლეხები ხვდებიან და აპატიმრებენ. პატარა გული შიშით ისე მძლავრად უცემდა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობსო. „უნდა გავაფრთხილო“ — ფიქრობდა ის: „მაგრამ როგორ მოვახერხო?“

— ქალაქში უნდა წავიდეთ, — გადასწყვიტა და ისევ გაიფიქრა:

— დედა არ გამიშვებს.

მთავარიან ღამეში ის სარკმლიდან გაყურებდა თვალუწვდენელ მინდვრებს, თვალით ზომავდა სივრცეს და წინდაწინვე უნდოდა წარმოედგინა შორეული ქალაქის გრძელი გზა. მან ერთხელ კიდეც ნახა ეს ქალაქი. მამამ წაიყვანა მის სანახავად. რა ტკბილად იგონებდა ქალაქში მგზავრობას! სულ მინდორ-მინდორ მიდიოდენ, შემდეგ სოფელი გაიარეს, კიდევ მინდორი, ტყე, სოფლები და შემდეგ რკინის გზა. რკინის გზიდან კი ქალაქამდე ერთი საათის სავალი გზა იყო.

არც პატარა ვანოს ეძინა.

— მამა თუ მოვიდა, მოჰკლავენ, ნიკო! გავაფრთხილოთ, წავიდეთ ქალაქში. რას იტყვი? — მიმართა მან ძმას.

ნიკოს მოეწონა ვანოს გადაწყვეტილება, მაგრამ მისი წაყვანა მაინც ეძნელებოდა: ფიქრობდა, დაიღლება და ვეღარ ივლისო.

— შენ არ დაიღლები?—შეეკითხა ვანოს.

— არა, რა დამღლის! არც ისე შორს არის. მე დედასთან ერთად უფრო შორს ვიყავი, მაგრამ არ დავღლილვარ და არც დამისვენია; ჰკითხე, თუ არ გჯერა.

## 2. მამის კვალზე.

ბავშები დედამ დილით ადრე გააღვიძა. მზე კიდევ არ იყო ამოსული. ბაბუამ და დედამ საგზალი გაამზადეს და მოშორებით მდებარე ყანაში წავიდენ პურის სამკელად.

— თქვენ არსად წახვიდეთ, სახლი არ დატოვოთ, თუ რამე დაიკარგა, ორივეს მოგხვდებათ! ნიკო, ვანოს ნუ დატოვებ. ერთად იყავით. არსად გაიბნეთ,—დაიბარა წასვლის დროს დედამ.

— კარგი, არსად გავიბნევით. ჩვენზე ნუ ჯავროობ,—უპასუხა ნიკომ.

ხელად მოემზადენ. მამის ჩანთაში საგზალი ჩაწყვეს და გზას გაუდგენ. თან უკან იყურებოდენ, ხომ არავინ გვიყურებსო.

სულ სირბილით მიდიოდენ, სანამ სოფელს კარგა მანძილით არ დაშორდენ. დაიღალენ. ფერდობზე მიწვენ და შეისვენეს.

საჭელი ამოიღეს, დანაყრდენ, შემდეგ დაიძინეს.

როდესაც ნიკომ გამოიღვიძა, მზე უკვე ჩადიოდა; უცებ გაღვიძა ვანო, აიღეს ჩანთა და გზას გაუდგენ.

შორს სადღაც ძაღლების ყეფა ისმოდა.

საძოვრებიდან საქონელი შინ ბრუნდებოდა: გზა ტყეში შეიჭრა. ჩამობნელდა....

ვანო ბორძიკით ძლივსღა მისდევდა ნიკოს. შიშმა და გამოუცნობელმა მწუხარებამ შეიპყრო, თვალებში ცრემლები მოადგა. როგორც იქნა, გაბედა და ნიკოს მიმართა თხოვნის და მოკრძალების კილოთი:

— ნიკო, გვიანაა, გზა აღარ მოჩანს, მე მეშინია.... მოდი დავრჩეთ აქა!

ნიკო გაბრაზებული იყო თავის თავზეც და ვანოზეც მისთვის, რომ დიდხანს იძინეს. ძმის თხოვნაზე პასუხის ნაცვლად უხმოდ და აჩქარებით მიაბიჯებდა, რომ მალე გაევლოთ გზა, რომელიც ტყეზე მიდიოდა. როცა ტყეს უკვე გაშორდენ, ნიკო ვანოსკენ მობრუნდა და მხოლოდ ახლა სთქვა საპასუხოდ:

— სულელო!

ვანო უფრო მოიღუშა.

— მზე ჩავიდა... მეშინია...

— არაფერი შენ არ გესმის, ლობიო ხარ. რაღაც ერთი ვერსი დარჩა და შენ კი ბღავილს აპირებ!

შემდეგ ვანოს ხელი ჩაჰკიდა და თან გაიყოლა.

— სულ მალე მივალთ მამასთან; ჩაის დავლევთ, დავისვენებთ. შემდეგ მამა თეატრში წაგვიყვანს... მე რომ ქალაქში ვიყავი, მშვენიერი სურათები ვნახე, საინტერესო, შენ კი... ჩქარა ვიაროთ!—ამხნევებდა ნიკო ძმას, თუმცა თვითონაც შიშით შესცქეროდა ჩამოწოლილ ღრუბლებს და ღამის მყუდროებას.

მთვარე ამოვიდა. ბავშები გათამამდენ. ისინი უკვე მირბოდენ, მირბოდენ...

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა რკინის გზა, რომელიც თვალუწვდენელ მინდორს შუაზე ჭკვეთდა. ტელეგრაფის სვეტები სარებივით გამწკრივებულიყვენ და შორეულ სივრცეში პატარა წერტილებივით მოჩანდენ.

ბავშებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. თითქოს ეს გამწკრივებული ბოძები აერთიანებდენ მათ ქალაქთან და მათი იმედით ღამის წყვდიადი, ბნელი ბილიკები და შორეული გამოძახილი აღარ ეჩვენებოდათ პატარა მგზავრებს საშინელებად.

ვანომ და ნიკომ რკინის გზის დანახვისთანავე გადაუხვიეს გზიდან და ნათესებით პირდაპირ რკინის გზისაკენ გაეშურენ.

## 3. პატარა მხედრები

მთვარე ბავშებს უალერსებდა.

მავთულები ღმუოდენ.

საიდღანაც ზუზუნი მოისმა.

ბოძები უფრო ახმაურდენ.

ნიკომ მოიხედა და შორიდან დაინახა [illegible] ცეცხლის თვალი, რომელიც მისკენ მოდიოდა.

— მატარებელი!

ორივე გადავიდა ლიანდაგიდან. დადგენ მაღლობზე და მანქანას მიაცქერდენ. ორივეს დაებადა იმედი, რომ მემანქანე დაინახავდა მათ და თან წაიყვანდა.

სინათლე მორბოდა, ლიანდაგზე ხმაურობა იზრდებოდა.

ბავშები ხელებს აქნევდენ და ყვიროდენ.

მათი ხმა იქვე სწყდებოდა.

გაიქროლა მატარებელმა.

ერთი რონოდის ღია ბაქანზე ორი კაცი იდგა. მათ ალბათ ბავშები დაინახეს: ერთმა მათგანმა ხელი დააქნია.

მატარებელი მიიმალა.

ბავშებმა არ იცოდენ, რომ მათი მამა ქალაქში აღარ იყო. იმავ დღეს დილით ადრე მოვიდენ შესაფერი ცნობით რევოლუციონურ კომიტეტში წითელარმიელები, რომლებმაც მოულოდნელად შეამჩნიეს ათი ვერსის მანძილზე მოახლოვებული ყაზახები. ქალაქის დაცვა შეუძლებელი იყო, რადგან გამარჯვების ნაცვლად ეს გამოიწვევდა დამარცხებას და ადგილობრივი მებრძოლი ძალების სრულ განადგურებას.

სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა სასწრაფოდ მომზადება ქალაქის დასაცავად და მებრძოლი ძალების მახლობელ სადგურთან შესაჯგუფებლად, დატვირთეს ვაგონები და გამოჩნდენ თუ არა ქალაქში შემოსული ყაზახები, ორთქლმავალმა მოიტაცა რონოდები. სწორედ ამ მატარებელმა გაიარა ბავშების წინ. მასში იყო ნიკოს და ვანოს მამაც.

ის და ერთი მეზღვაური კომისარი ღია რონოდის ბაქანზე იყვნენ. ყაზახებმა მატარებელს ტყვიები დაუშინეს. მეზღვაური ტყვიამფრქვეველს ამოეფარა.

თედოს ამ დროს ბავშების ხმა მოესმა, ხელი გააქნია და გაღიმებულმა მეზღვაურს მიმართა:

— ვიღაც ბავშებია.

— რა გვებავშება, ტყვიებს გვიშენენ.

თედომ ბავშებს ისევ ხელი დაუქნია და გულდაწყვეტით წარმოსთქვა:

— მეც ორი ბავში მეზრდება, ძმობილო. შეიძლება ველარც კი ვნახო.

— ვინ იცის...

მატარებელმა სისწრაფეს მოუმატა და ბავშების წყვდიადმა შთანთქა.

ნიკო და ვანო მატარებელს ფეხდაფეხ მისდევდენ.

ხელი-ხელჩაკიდებული ძმები დიდი ნაბიჯებით მიდიოდენ. ვანოც უმატებდა ნაბიჯს, რომ ნიკო არ ჩამორჩენოდა, თან ძლივს ქშინავდა.

ბავშები რკინის გზის სადარაჯოსთან შეჩერდენ, რომელიც საურმე გზის გადასავალთან იყო.

სადარაჯოში ბნელოდა და სამარისებური სიჩუმე იყო. მხოლოდ მის სარკმელში მთვარის შუქი მკრთალად ანათებდა...

ნიკომ უცებ მოისაზრა და საჩქაროდ შეადგინა შესაფერი გეგმა.

— ვანო, იცი რა?

— რა?

— მოდი, ცხენები წავიყვანოთ.

— რომელი ცხენები?

— სადარაჯოსთან რომ აბია.

ნიკომ ხელების ქნევით დაუმატა:

— სძინავთ, ვერ გაიგებენ. შევჯდებით [illegible] ჰაიდა!

ვანო არ თანხმდებოდა:

— რომ დაგვინახონ?

— სულელო, გამიგონე. ჩვენ ისე მივიპარები, რომ ბუზსაც არ ავაფრენთ. მხოლოდ შევსხდეთ [illegible] შემდეგ გავქრებით.

ვანო სევდიანი თვალებით მისჩერებოდა.

— მეშინია, ნიკო...

რატომ არ გესმის, მხოლოდ შევჯდეთ და [illegible] ხელად შინ ამოვყოფთ თავს.

როცა დაინახა, რომ ვანო არ თანხმდებოდ[illegible] შეაშინა:

— რადგანაც ასეა, მარტო დარჩი! შეგეშინ[illegible] მაშ, ნუ შიშობ.

ერთი წუთით შეჩერდენ, მძიმედ სუნთქავდენ და მათი პატარა გულები ცემას უმატებდენ, შემდეგ ფორთხვით გადაცოცდენ ლიანდაგიდან, მიიხედ-მოიხედეს.

სადარაჯო აშინებდა მათ სიბნელით და მდუმარებით. მისი აივნის კიბეზე გარკვევით მოჩანდა რაღაც შავი და დიდი სხეული.

ნიკომ მიახედა ვანო და თავი დაუქნია. ᲧᲐᲘᲬᲘᲔᲡ. შემდეგ ნიკომ მისცა გაჩერების ნიშანი, თვითონ კი ცხენებისაკენ ისკუპა.

მოისმა ფრუტუნი.

ვანო შიშით ელოდა კარის გაღებას, საიდანაც, მისი აზრით, უნდა გამოსულიყო რაღაც საშინელება.

ფრუტუნი შეწყდა.

ფეხის ხმა მოისმა. ვანო თხრილში მიიმალა. რაღაც შავი აჩრდილი ახლოვდებოდა. ის იყო უნდა ეყვირა, რომ გაიგონა ნიკოს ჩურჩული:

— საით მიდიხარ? აცოცდი ლიანდაგზე!

ვანოს მოეჩვენა, რომ არაფერი არ არსებობდა, გარდა მისი გულისა, რომელიც ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. ლიანდაგზე ცხენის ნალმა გაიჩხარუნა. ვანო გამოერკვა. წამოდგა. ნიკო თავს ადგა ორი ცხენით.

— შეჯექი!

პატარა მხედრები მარდად მოახტენ ცხენებს და გაჰკურცხლეს იქით, საითაც მატერებელი წავიდა ორი უცნობი მგზავრით.

## 4. ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ.

იმავე ღამეს მამონტოვის ბანდებმა მოულოდნელად დასტოვეს ქალაქი. ზოგიერთები ამბობდენ, რომ მათ მაგრად მოხვდათ რომელიღაც ფრონტზე წითლებისაგან. ასე იყო თუ ისე, დილით ქალაქში ყაზახების სინსილა აღარსად იყო და ალიონზე ტელეგრაფის მოხელემ უკვე ცნობა გაგზავნა მახლობელ რკინის გზის სადგურებზე, რომ შეეჩერებინათ ქალაქიდან მიმავალი მატარებლები.

თომას მატარებელი სადგურზე გათენებისას მივიდა.

მისვლისთანავე სადგურის უფროსმა მეზღვაურს ქალაქიდან მოსული დეპეშა გადასცა.

— თომა, მომილოცავს! საქმე კარგად არის, ჩვენებს უკვე მოუცხიათ! წაიკითხე! – მიახარა მან ღამენათევ თომას და გაუშალა დეპეშის ფურცელი.

ყველა სიხარულმა მოიცვა.

წითელარმიელები ვაგონებიდან გადმოცვივდენ. უფროსმა განკარგულება გასცა, რომ რკინის გზის გასწვრივ გაეკეთებიათ საფრები, გაეშვათ საველე ყარაული და ყოველ წუთს მზად ყოფილიყვენ ქალაქიდან გამოქცეული ყაზახებისათვის გზის გადასაჭრელად.

განკარგულება რამდენიმე წუთში მოიყვანეს სისრულეში.

თომა თხრილის თავზე ტყვიამფრქვეველის გვერდით იდგა და თვალყურს ადევნებდა როგორც წითელარმიელებს, ისე გარემო მიდამოებს.

საბჭოთა კავშირში ჩამოყვანილი ბულგარელი რევოლუციონერების შვილები

უცებ შორიდან ცხენების ფეხის ხმა მოისმა.

ყურები დაცქვიტეს.

ხმაურობა ახლოვდებოდა.

ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ ყაზახები მოდიოდენ და საომრად მოემზადენ.

— სანამ ნიშანს არ მოგცემთ, არ გაისროლოთ! გასცა განკარგულება თომამ.

*
* *

ბედაურებზე მჯდომი ბავშები ქარივით მიქროდენ. ცხენები ფრუტუნობდენ, ნალები მძიმედ სცემდენ შპალებზე. მავთულები ზუზუნობდენ. მათ წინ ტყის ზევით ცა ლაჟვარდდებოდა. უკან დასტოვეს სამი სადარაჯო. ხრამს უახლოვდებოდენ. ვანო უნაგირს მიჰკროდა და ხშირად ეკითხებოდა ნიკოს:

— ხომ არ მოგვდევენ?

ასეთ შეკითხვებზე ნიკო უკან მოიხედავდა და რომ დარწმუნდებოდა, რომ მდევარი არსად იყო, თავისი გამარჯვებით გაამაყებული მკაფიოდ უპასუხებდა:

— არა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ნიკომ ერთხელ კიდევ უკან მოიხედა, მისი სიამაყე გაქრა, სახე გაუფითრდა და შიშის ზარმა მოიცვა მისი არსება: მან დაინახა მდევარი, რომელიც ცხენს მისკენ ყიჟინით მოაქროლებდა. კიდევ მოიხედა, მდევარი ახლოვდებოდა. ვანოს არაფერი უთხრა. ცხენებს ძათრახები გადასცხო და ისეთი სისწრაფით გააქანა, რომ ბავშებს ყურებმა შხუილი დაუწყო.

ერთხანს მდევარის ხმა თითქოს შესწყდა, მაგრამ ცხენის თქარათქური ხელახლად მოისმა.

ნიკო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სცემდა ცხენებს და ძმას ამხნევებდა:

— დაიჭირე აღვირი, არ გადმოვარდე!

გალის (აფხაზეთშია) პიონერ-კოლექტივი

ვანო კრიჭაშეკრული ძლივს ლუღლუღებდა:

— არა... მი... ჭი... რავს.

ხრამი და ტყე გაიარეს, კიდევ გაირბინეს ერთი სადარაჯო. ცხენის ფეხის ხმა უფრო ახლოვდებოდა. ნიკომ ისევ მოიხედა და შეამჩნია, რომ მდევარი ძლიერ დაახლოვებოდა.

— გვეწევიან?—შიშით იკითხა ვანომ.

— არაფერია, გავასწრებთ. უყურე, არ ჩამოვარდე,—ანუგეშა ნიკომ და კვლავ გადაკრა ცხენებს მათრახი.

ცხენებმა ფრუტუნს უმატეს. მთლად ოფლში იყვნენ გაღვარული.

გათენდა.

— თუ მატარებელს ვერ დავეწიეთ, დავიღუპეთ. ყაზახები არც მცირეწლოვანებს დაგვინდობენ. ჩემს თავზე ახია, მაგრამ ვანო მეცოდება. მე ვარ მისი დაღუპვის მიზეზი: მე გამოვიტყუე,—გაიფიქრა ნიკომ და ამ ფიქრებით გულმოკლულმა წინ გაიხედა, რომ მატარებლისთვის მოეკრა თვალი, მაგრამ ამაოდ.

ლიანდაგს გადაუხვიეს და ტყეს შემოურბინეს, მაგრამ ამაოდ, მატარებელი არც ახლა ჩანდა.

რომ ეს სისხლისმსმელი წყეული ყაზახები არ ყოფილიყვენ, რა სიამოვნებით ისეირნებდა ასეთი ცხენით ნიკო. ვანოს ქურანას უკვე ფერდებში ფოლი ჩაუდგა. ორი მხედარი სწრაფად მიჰქროდა. ერთი ვერსის მანძილზე მოქროდენ და თან რაღაცას ყვიროდენ. შიშმა იმატა. გათეთრებული ვანო ათრთოლებული ტუჩებით რაღაცას ჩურჩულებს. ის ის იყო ტყეში გადახვევას და დამალვას აპირებდენ, რომ ნიკომ დაიყვირა.

— ვანო, სადგური გამოჩნდა.

მართლაც მოჩანდა სადგური და ნაცრისფერი კვამლი. ეტყობოდა, მატარებელიც უნდა მდგარიყო. ნიკოს უკან აღარ მიუხედია. სტაცა ხელი ვანოს ცხენის აღვირს, რადგანაც ის უკან რჩებოდა და მეტი სიჩქარით გაიქცენ, უკნიდან კი ყაზახები მოყვიროდენ:

— შეჩერდით, შეჩერდით.

მანძილი კი მათსა და სადგურს შორის თითქოს იზრდებოდა. უცბად ნიკოს ვანოს ცხენის აღვირი ხელიდან გაუსხლტა, მოიხედა: ცხენი წაქცეული,— მოუკლავთ, ვანო აღარ ჩანს.

დავიღუპე.—გაიფიქრა, მაგრამ თვალის დახამხამებაში ჩამოხტა. შიშისაგან გაყინული ბავში სწრაფად თავის ცხენზე შესვა, თვითონაც მარდად მოახტა და მოჰკურცხლა. ცხენმა გზიდან გადაუხვია, ხრამს გადაახტა. ნიკოს თითქოს გონება დაეკარგა: აღარ იცის, სად არის და რა ხდება მის გარშემო. მხოლოდ ყრუდ მოესმის სროლა, ყიჟინი და ტყვიამფრქვეველის ხმა... ის შეუგნებლად მიჰკვრია ვანოს და უგზო-უკვლოდ მიაქანებს ცხენს. სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ ლიანდაგის გასწვრივ გაყოლებულ ტყეში შეიჭრა ცხენი და როდესაც ბავშებს ტოტები მოხვდა, ნიკომ მხოლოდ მაშინ მოიხედა, განცვიფრდა. ლიანდაგზე თოფებით შეიარაღებული რუხქუდებიანი ხალხი იდგა. თავი სიზმარში ეგონა. მხოლოდ ახლა მიხვდა ნიკო, რომ ესენი წითელარმიელები იყვნენ, მიხვდა, რომ წითელარმიელები მათ მიეშველენ და წამოწეულ ყაზახებს ტყვიამფრქვეველები დაუშინეს. გახარებულმა და ათრთოლებულმა ნიკომ შესძახა ვანოს:

— ვანო, მათი ჭირიმე, ჩვენები, ჩვენი ბიჭები, წითელარმიელები!

და პირველად ამ მოწამლულ ღამის განმავლობაში სიხარულის ცრემლი გადმოსცვივდა.

შუაღამისას ვანოს და ნიკოს სადგურის ერთ პატარა ოთახში გამოეღვიძათ. მათ გვერდით მიწოლილიყო თედო, რომელიც ვანოს გულში იკრავდა და თვალებით ნიკოს მისჩერებოდა. იქვე მაღალი მეზღვაური იდგა, რომელიც თედოს ეუბნებოდა:

— მომილოცავს, თედო, შენმა ბავშებმა მტრის საომარი მოქმედების მთელი გეგმა ჩაგვიგდეს ხელში: მათგან მოტაცებული ცხენის უნაგირ ქვეშ აღმოჩნდა ამოკრული. ალბათ, ცხენი ოფიცრის ყოფილა. ახლავე უნდა ვაცნობოთ მთავარ შტაბს და თავდაცვის საბჭოს. რა დიდი საქმე გაკეთდა!! ვაშა, ვაშა!! ყოჩაღ, ბიჭებო!!

და ორი ვაჟკაცის თვალები სიხარულით ბავშების თვალებივით ციმციმებდენ.

ს. კამარელი.

თუ საიდან და ვისთან ჩამოვიდა და სხვა ასეთები. გოგიმ მათ პასუხი გასცა, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, თუ უბეში საიდუმლო წერილი ჰქონდა და არც იმის შესახებ, თუ მამამისი ამ საღამოს როგორ გაექცა ჟანდარმებს რონოდიდან.

გოგის ადარდებდა მამის ბედი:

— ვინ იცის, რა შეემთხვა მამას, როცა რონოდიდან გადახტა? იქნებ ფეხი იღრძო? იქნებ სიყოჩაღე ვერ გამოიჩინა და ბორბლებს მოჰყვა? ან იქნებ ჟანდარმების ტყვიამ დაიგდო?

გოგი ამგვარად ფიქრობდა, შესაფერი სურათებიც ეხატებოდა და სწუხდა. მისი თანამგზავრები ერთმანეთს ესაუბრებოდენ ამ დროს და გოგის ყურადღებას არ აქცევდენ. ისინი შუა ქუჩაში მიდიოდენ.

უცებ ქუჩაში გაისმა ფეხის ხმა და მაღალი საუბარი. უთუოდ ბევრნი მოდიოდენ და რუსულად საუბრობდენ.

ჩვენი ჩამოსულები დაიბნენ და შესდგენ. გოგიც შესდგა.

— წავიდეთ! არ ვარგა, რომ გავჩერდით!—ჩუმად უთხრა მოხუცმა მეორეს, მაგრამ პასუხი არ მიუღია, რომ გაისმა მწყრალად:

— ვინ მოდის?

ამავე დროს იარაღის ჩხარუნიც გაიგონეს ჩვენმა ჩამოსულებმა და უფრო დაიბნენ.

— ვინ მოდის?—ისევ განმეორდა მწყრალი კითხვა და მოხუცმა დაიძახა:

— მგზავრები ვართ, შე დალოცვილო, მგზავრები!

— ხელები ასწიეთ!—გაისმა ბრძანება და ჩამოსულებმა ხელები ასწიეს.

პატარა გოგიმაც ასწია ხელები.

ხელებაწეულებს მოუახლოვდენ ჯარისკაცები, რომელთაც ხელმძღვანელობდენ უფროსი ჩაფრები. ერთი მათგანი გაჯავრებული ჩანდა. მან მწყრალად იკითხა:

— განა არ იცით, რომ ღამე სიარული აკრძალულია, ხოლო დამნაშავე სასტიკად ისჯება?

— მატარებლით მოვედით, შე დალოცვილო! უკმაყოფილოდ უპასუხა მოხუცმა.

— ჩუმად!—იყვირა უფროსმა ჩაფარმა; მერე თანაშემწეებს მიუბრუნდა და უბრძანა გაეჩხრიკათ ჩამოსულები და ჩამოსულთა ნივთები.

გოგიმ რუსული კარგად იცოდა: მან განკარგულება გაიგო და შეშინებულმა ხელი უნებურად უბისაკენ წაიღო.

ჯარისკაცები მისცვივდენ მოხუცს. მოხუცი გასჩხრიკეს. შემდეგ მეორე კაცი გასჩხრიკეს და ჯერი გოგიზე მისდგა. ბავშს გული ძალუმად უცემდა.

— ვინ არის ეს ბავში?—იკითხა უფროსმა ჩაფარმა.

— ჩემია!—იტყუა მოხუცმა და გოგი ჯრ. გაუჩხრეკიათ. უფროსმა ჩაფარმა ხელი ჩააქნია და თავის თანაშემწეს მიუბრუნდა:

— მშვიდობიანი ხალხი ჩანს! გავუშვათ!

უფროსს თანაშემწე დაეთანხმა და ჩვენმა მგზავრებმა გზა განაგრძეს.

გოგის ამ დროს გული უძგერდა და არ იცოდა, როგორ გამოეთქვა მოხუცისათვის მადლობა.

მოხუცი კი ხუმრობით ხელს უთათუნებდა გოგის მხარზე და ხან გოგის ეუბნებოდა და ხან მეორეს:

— ხედავ, ჩემო ბიძია, როგორ დამფრთხალან? მსმენია, მგლის შეშინებული ძაღლი მთვარეს უყეფდაო და სწორედ დავინახე... თორემ, კაცს რო ჩვენი შეეშინება, ის რა კაცი უნდა იყოს? არა, ბიძია, არა, მეფის საქმე მართლა წასული ყოფილა!..

მერე მოხუცმა გოგი შეაჩერა, ერთი პატარა შენობა დაანახა და უთხრა:

— ა, ჩემო ბიძია, შენ რო კაცი გინდა, აქ დგას.

— გმადლობ, ბიძია, გმადლობ!..—დაიძახა გოგიმ და კაცები მას დაშორდენ.

გოგი ეზოში შევიდა.

სახლს მიადგა და კარზე დააკაკუნა.

კარები მალე გაიღო და ქალის ხმამ გოგი სახლში მიიწვია:

— მობრძანდი!—ამბობდა ხნიერი ქალი და გოგის ათვალიერებდა.

თავის მხრივ გოგიც ათვალიერებდა აქაურობას: ოთახში მკრთალი სინათლე იდგა და ამ სინათლეში მოჩანდა ერთი შავი კაცი, გაშლილ სუფრასთან მჯდომარე. კაცი წამოდგა და ბავშს გაკვირვებით ჰკითხა:

— ბიჭო, გოგი ხარ შენ?

— ჰო!—მიუგო გოგიმ და როგორც კი მიუგო, ხნიერმა ქალმა გოგი გულში ჩაიკრა, ხოლო შავმა კაცმა წარბშეჭმუხვნით იკითხა:

— მამაშენი სადაა, ბიჭო, იაკინთე?..

— მამა ჟანდარმებს გაექცა... მატარებლიდან გადახტა....

ამ ამბავმა ხნიერი ქალი გააოცა, შავმა კაცმა კი კმაყოფილად ჩაიცინა. ეტყობოდა, ხნიერი ქალი შეკრთა და თავისი შეკრთომის გაზიარება უნდოდა შავი კაცისათვის:

— მამუჩა...—დაიწყო ქალმა, მაგრამ არ გაუგრძელებია, გოგის გადახედა და გაჩუმდა.

გოგიმ, რაკი გაიგო, რომ კაცს მამუჩა ერქვა, უბიდან წერილი ამოიღო და გადასცა:

— შენი წერილია, მამამ გამოგიგზავნა.

შავმა კაცმა წერილი სიხარულით ჩამოართვა და კონვერტი გახია.

ფიზკულტურის დღე. თავისუფალი მოძრაობა

## რა დაემართა გოგის მამას?

მსრბოლავი მატარებლიდან გადახტომა ადვილი არ არის, მაგრამ იაკინთე მაინც გადახტა. ის ჭაობში დავარდა და მიწას მუხლი დაჰკრა. მუხლი ასტკივდა.

მოფიქრების დრო არ იყო და იაკინთე ხელადვე წამოდგა.

მატარებელი შორს მიჰქროდა. შემდეგ მატარებლიდან სროლა მოისმა და იაკინთე მიხვდა, რომ ხიფათს გადარჩა.

მან დიდის წვალებით მოსძებნა თვისი მაფრაშა და მცირედ ხანს ფიქრობდა, თუ სად წასულიყო?

ირგვლივ, სადაც კი თვალი სწვდებოდა ამ ღამეში, მოჩანდა ტყე და მხოლოდ ტყის შუაგულ გადიოდა რკინიგზის ლიანდაგი.

ლიანდაგით სიარული არ ვარგოდა; არ ვარგოდა, რადგან შეიძლება ჟანდარმები გამოსდგომოდენ.

ამიტომ იაკინთე იდგა და ვერ გადაეწყვიტა, საით აეღო სვლის გეზი.

ის მხედველობასა და სმენას იმახვილებდა, მაგრამ სანუგეშო რაიმე არც ისმოდა და არც ჩანდა.

ის იყო, იაკინთე ტყეში შესვლას აპირებდა, რომ მეორე მხრივ, შორს, სადღაც ტყეშივე, ძაღლის ყეფა გაისმა.

იაკინთეს გაეხარდა.

მან ყური დაუგდო და რადგან ყეფა კვლავ განმეორდა, აიღო თავისი მაფრაშა და გასწია ყეფის მიმართულებით.

დიდხანს იარა.

ამ ხნის განმავლობაში ხან არ ისმოდა ძაღლის ყეფა, ხან ისმოდა, მაგრამ ისმოდა მუდამ შორს და ძლივს გასაგონად. იაკინთეს ძალიან სტკიოდა ფეხი. ის კოჭლობდა. ხშირად იფლეთოდა უყე ჭაობში, მაგრამ მიდიოდა მაინც და იმედს არ კარგავდა.

უთუოდ დიდი დრო გავიდა, რადგან ტყეში სიბნელე თანდათან გაიკრიფა და ღამის ცას ღია ფერადები გაევლო; მალე ბურუსი ჩამოდგა და უეცრად ბურუსში იწყო კრთომა რიჟრაჟმა.

აჭიკჭიკდენ რიჟრაჟზე ფრინველები. ამდენ ხანს თუ ტყე სდუმდა, ახლა თითქო გაიღვიძა და ახმაურდა.

პატარა ჩიტები ფრთხიალით ხტოდენ ტოტიდან ტოტზე და პაწია ნისკარტით ბუმბულს იქექდენ.

მართალია, მუხლი გაუსივდა იაკინთეს, მუხლი სტკიოდა და ყოველ ნაბიჯზე ისვენებდა, მაგრამ მას ახარებდა განთიადი, ახარებდა პაწია ფრინველთ სიხარული, თანაც ძაღლების ყეფა ახლოს ისმოდა და, როგორც ეტყობოდა, სოფელიც ახლოს იყო.

კიდევ მცირედი ხანი — და იაკინთე სოფელში შევიდა.

სოფელი განთიადზე ფეხზე იდგა. იაკინთემ პირველსავე სოფლელს დახმარება სთხოვა და სოფლელმა, ჭაბუკმა ბიჭმა, ის სახლში შეიყვანა.

იაკინთე დააწვინეს, ქალებმა ფეხზე მალამო დაადეს და მას ტკივილები დაუამდა. შემდეგ ასაუზმეს და ქალაქის ამბები ჰკითხეს.

თავის მხრივ, იაკინთემაც ჰკითხა მათ სოფლის ამბები. სოფლელი ბიჭი გატაცებით მოუთხრობდა იაკინთეს ახალ ამბებს და, როგორც მისი საუბრიდან ჩანდა, სოფელიც მზად იყო საბრძოლველად, მზად იყო მეფის ტახტი დაემხო და მით თავისუფლება მოეპოვებინა.

ეს ამბები იაკინთეს ესიამოვნა; მან მაფრაშა გახსნა, ნაბეჭდი ქაღალდები ამოიღო და სთქვა:

— აი, ეს წაიკითხეთ და მახლობელ სოფლებშიაც გაავრცელეთ.

ეს ქაღალდები პროკლამაციები იყო და შიგ ეწერა, თუ როგორ უნდა ებრძოლა ხალხს მეფის წინააღმდეგ.

სოფლელმა ჭაბუკმა სიხარულით ჩამოართვა იაკინთეს პროკლამაციები, კიდეც წაიკითხა და კიდეც გადაგზავნა მახლობელ სოფლებში გასავრცელებლად, ხოლო მეორე დღეს, როდესაც დაღამდა, მან იაკინთე ნავში ჩასვა და ორივე გაემგზავრენ მდინარით.

ისინი მიდიოდენ სანაპირო ქალაქში, სადაც იმყოფებოდა იმჟამად ჩვენი გოგი.

შავმა კაცმა, სახელად რომ მამუჩა ჰქვიან, წერილი გადაიკითხა, მერე ხნიერ ქალს ანიშნა გოგი დაეწვინა, თვითონ ქუდი დაიხურა და წავიდა.

— კატო, — წასვლისას უთხრა მამუჩამ ხნიერ ქალს, — შეიძლება მე ამ საღამოს ვერ მოვიდე, მაგრამ ფიქრი ნუ გექნება.

კატომ ამოიოხრა და სიტყვა არ შეუბრუნებია. მან პატარა სტუმარს ლოგინი გაუშალა, და გოგი დაწვა.

დაღლილ ბავშს იმ წამსვე ჩაეძინა.

ქუჩაში კი დადიოდენ ჯარისკაცები, დადიოდენ ჩაფრები, უსტვენდენ და თვალი კარგად ეჭირათ, რომ არაფერი გამოჰპარვოდათ.

გოგის გვიან გაეღვიძა.

კატო იქვე ფუსფუსებდა, ხოლო მამუჩა არ ჩანდა. გოგიმ იკითხა:

— ბიკოლა კატო, მამუჩა სადღაა? ნუთუ წუხელის არ მოსულა?

— არა, — მიუგო კატომ, — წუხელის არ მოსულა; მაგრამ განთიადზე შემოირბინა და სამუშაოდ გაეშურა.

გოგიმ ხელ-პირი დაიბანა, საჭმელიც სჭამა და, რადგან საქმე არაფერი ჰქონდა, კარგად გამოჰკითხა ბიკოლა კატოს, თუ სად მუშაობდა მამუჩა, როგორ მიისვლებოდა იქ და წავიდა. მას უნდოდა მამუჩას სამუშაო ენახა.

მამუჩა კი მტვირთავად იყო ნავსადგურში.

მართალია, ნავსადგური შორს იყო და თანაც გოგი არ იცნობდა აქაურობას, მაგრამ ბიკოლა კა-

ტომ ძალიან კარგად აუწერა გზა, და გოგი უყოყმანოდ მიემართებოდა სანაპირო ქალაქის ქუჩაზე.

ქუჩები იყო ფართე, სწორი და ნათელი. ქუჩებში ხალხი ფუსფუსებდა. გოგიმ გაიარა რამდენიმე ქუჩა, მერე ხიდი გაიარა და შორს გამოჩნდა ნავსადგური.

ნავსადგური შორიდანაც კარგი სანახავი იყო. მოჩანდა ხომალდების ანძები, მსხვილი საკომლე მილები და თვით გემების თეთრი ბანი. გოგი მალე მივიდა ნავსადგურში.

ნავსადგური ვრცელი იყო, შიგ იდგა ბევრი ხომალდი, მოძრაობდენ სანდლები და ლვილები, ირეოდა ხალხი; ნავსადგურს იქით მოჩანდა ზღვა.

ზღვა იყო ლურჯი, მრგვალი და ძალიან დიდი. ის ახლა არ ღელავდა. გოგის პირველად თვალები გაუგანიერდა და არ იცოდა რა ენახა.

ყველაფერი მოძრაობდა, ყველაფერი უზარმაზარი და წარმტაცი იყო.

დიდხანს იდგა გოგი ერთ ადგილას და ხან ერთ მხარეს ათვალიერებდა, ხან მეორეს.

შემდეგ ის გარემოს შეეჩვია და ცოტათი დამშვიდდა.

ერთ ადგილას დიდ ხომალდზე გაედოთ ვეებერთელა ფიცარი, რომელიც ალმაცერად ეშვებოდა ნაპირზე. ამ ფიცარზე ადიოდენ მტვირთავები და კურტნით ჩამოჰქონდათ ფქვილიანი ტომრები.

გოგი გემთან მივიდა.

აქ დიდი ხმაური იდგა. მტვირთავები ოფლში იწურებოდენ.

მალლა, გემის ბანზე, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი იდგა გემის უფროსი, კაპიტანი. კაპიტანი უსტვენდა, ხან კი რაღაცას სიცილით ეუბნებოდა მუშებს, მაგრამ მუშები მას პასუხს არ აძლევდენ ან, თუ აძლევდენ, არ იცინოდენ.

გოგი გემთან სულ ახლოს მივიდა. ის დაკვირვებით ზვერავდა მუშებს, მაგრამ მამუჩა არ ჩანდა.

ამ დროს კაპიტანმა ერთი დაუსტვინა და ჭალარა მუშას დაკინვით ჰკითხა:

— რაო, ძმობილო, აჯანყებაზე არ ფიქრობთ?

კაპიტანი რუსი იყო. მუშამ მას პასუხი არ გასცა და გოგიმ გაიგონა, თუ როგორ ჩაილაპარაკა მუშამ თავისთვის:

— ვირი!

კაპიტანს მუშის სიტყვა არ გაუგონია. ის იყო, გოგი წასვლას აპირებდა, რომ კაპიტანმა ახლა მეორე მუშას ჰკითხა ისეთისავე დამცინავი კილოთი:

— შენ, ძმობილო, თავისუფლებაზე არ ფიქრობ?

მუშას ზურგზე ფქვილი ედო და დაბლა ჩამოდიოდა, მაგრამ გაიგონა თუ არა კაპიტნის კითხვა, მაშინვე შეჩერდა, კაპიტანს თვალი გაუსწორა და შესძახა:

— თავისუფლებაზე ფიქრი კი არ კმარა, ბრძოლაა საჭირო!

მაშინ კაპიტანი გაბრაზდა, სწრაფად დაეშვა დაბლა და მუშას ფერდში ფეხი ჰკრა.

გოგიმ დაინახა, რომ პირველად ტომარა გადმოგორდა, მერე მუშა დაბარბაცდა და ჩავარდა ზღვაში.

ატყდა ალიაქოთი.

მუშები შესდგენ. ვისაც ფქვილი მხრებზე ედო, მათ ტომრები ძირს დაჰყარეს.

საწყობიდან გამოცვინდენ მუშები, გემის სიღრმეში რომ მუშაობდენ, მუშაობას თავი ანებეს და მაღლა ამოვიდენ. ისინი მუშტებს მუქარით ჰკუმშავდენ და განრისხებული იყვნენ.

## პიონერის ფიცი

ვდგავართ პირისპირ თქვენთან
თქვენი პატარა ძმები.
და გული მკერდში ფეთქავს
წითელ ოქტომბრის მზეებრ.
ჩვენ მრისხანე დღით ვიშვით,
ვიქნებით ურჩი მარად.
არ გვეკარება შიში
მტარვალთა გასახარად!
გაშლილ მინდორზე, ვხედავთ,
სდგას არმიელი რიგში,
ჩვენც თავს ვადარებთ მხედრებს
და წითელ დროშებს ვიშლით.
ჩვენ გადავიტანთ სიცხეს,
ჩვენ გადავიტანთ ზამთარს,
ჩვენ გული ისე გვიცემს,
რომ მტრებსაც ესმით:—მზად ვართ!..

**კალე ბობოხიძე**

გემიდან კაპიტნის თანაშემწეები გამოვიდენ და გაფითრებული კაპიტანი გემში შეიყვანეს. უეცრად გოგიმ მამუჩას მოჰკრა თვალი. მამუჩა, ისე, როგორც სხვები, ფქვილში იყო ამოგანგლული. ის ერთ ჯგუფში იდგა და ვიღაცას რევოლვერს ართმევდა.

— არ შეიძლება, ამხანაგო! — უყვიროდა მამუჩა მტვირთავს და მალე რევოლვერი ჩამოართვა. მტვირთავს კაპიტნის მოკვლა უნდოდა, მაგრამ მამუჩამ არ გაუშვა. ამ დროს მტვირთავი ზღვიდან ამოიყვანეს.

მას წყალი ჩამოსდიოდა, ის იცინოდა. მერე მას უთხრეს, რომ ერთ მუშას კაპიტნის მოკვლა უნდოდა; მაშინ ზღვიდან ამოყვანილმა მტვირთავმა სიცილი შესწყვიტა და თვითონ სთხოვა ამხანაგებს, მუშაობა დაეწყოთ.

მუშებმა დაიჯერეს. ისინი მწყრალი სახით იწყებდენ მუშაობას და იმუქრებოდენ. გოგიმ დრო იხელთა და მამუჩას გამოეხმაურა.

— ყოჩაღ, გოგი! — გაოცებით დაიძახა მამუჩამ, რა დაინახა ბავში, მერე უეცრად ჰკითხა:

— აქ ვინ მოგიყვანა?

გოგიმ უთხრა, რომ თვითონ მოვიდა. მამუჩას ეს იამა და ბავში შეაქო. მერე გოგი განზე გაიხმო და ჩუმად უთხრა:

— გოგი, წადი შინ და ბიკოლა კატოს უთხარი, რომ ამ საღამოს კრება ჩვენსას იქნება.

გოგი წამოვიდა.

რა თქმა უნდა, მამუჩას არც უთქვამს ბავშისთვის, რომ ეს ამბავი დიდი საიდუმლოებაა. ეს გოგიმაც კარგად იცოდა და ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.

**ს. კასრაძე.**

(შემდეგი იქნება)

# ჩე-უ-ლი და ლი-იუ-ჩან

დიდია აზიაში მდებარე ჩინეთი, მრავალრიცხოვანია მისი მოსახლეობა. 400 მილიონი ჩინელი დაფუსფუსობს იქ, ოთხასი მილიონი პირი მოითხოვს იქ საჭმელს. ძალიან, ძალიან შრომისმოყვარულია ჩინელი ხალხი, რომლის დიდი უმრავლესობა გლეხებია. მაკრამ რა ჭქნას მარტო შრომისმოყვარეობამ, როცა მიწა ცოტაა და ყველას არ ჭყოფნის! მიდიან ჩინელი მუშები ქვეყნიერების ყველა კუთხეში, მიდიან იმ იმედით, რომ იქ მაინც იშოვნიან ლუკმა პურს და შიმშილით სიკვდილს გადარჩებიან. ისინი მზად არიან სულ მუქთად, რამდენიმე გროშად იმუშაონ, ოღონდ სულ მშიერი არ დარჩენ. ღარიბლატაკია ჩინელი ხალხი, გაუნათლებელია იგი და ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ცდილობდენ რაც შეიძლება მეტად გაყვლიფონ იგი. ინგლისის, იაპონიის, ამერიკისა და საფრანგეთის კაპიტალისტები ყორნებივით ეხვევიან მათ, ჩინეთის სიმდიდრეების ხელში ჩაგდების სურვილით გატაცებულნი. ჩინეთს კი საკმაო სიმდიდრე აქვს: თვალუწვდენელი ყანები, სადაც ბრინჯი სთესია, განთქმული ჩინური ჩაის პლანტაციები, აბრეშუმი, ფაიფური, ქვანახშირის ბუდობები! მაგრამ ყველაზე მეტად იზიდავს უცხოეთის კაპიტალისტებს ჩინეთში იაფი მუშახელი.

არსად არ არის მუშა ისე შევიწროებული, როგორც ჩინეთში, არსად არ იღებს მუშა ისე მცირე ხელფასს, როგორც იქ, არსად არ მუშაობს იმდენს, — დღეში 14-16-18 საათს, — რამდენსაც იქ. ქალები და ბავშები მთელ წელიწადს ყოველდღე მუშაობენ, მათთვის არ არის კვირა — უქმე, არავითარი უფლებით არ სარგებლობენ, კანონი მათ არ იცავს, 14 საათის მუშაობაში ქალებს 15 ცენტს (ჩვენი 30 კაპ.) აძლევენ, ბავშებს — 7 ცენტს.

მთელი ზამთრის განმავლობაში ჭქრის ქარი და მოაქვს ნოყიერი მტვერი მონღოლეთის უდაბნოებიდან ჩინეთში. გამოზაფხულდება, ჟუჟუნა წვიმა წამოვა, და ლურჯი ხალათით გამოვლენ მინდვრებში ჩინელი გლეხები. აგერ ერთს ძროხა შეუბამს უღელში და ხნავს, მეორე ადგილას კი სამი ჩინელი, ერთი ოჯახის წევრნი, ეწევა მძიმე უღელს, რომ მოხნან თავისი „მუ“ — მიწის პატარა ნაკვეთი, ჩვენი დესეტინის $^1/_{16}$. მდინარეებიდან გამოყვანილილი არხებით რწყავენ მიწას, სთესენ ბრინჯს, რომელიც პურის მაგივრობას უწევს ჩინელს.

დიდი მდინარეების ნავსადგურში ფუსფუსია, უცხოელთა უზარმაზარი გემები მედიდურად დგანან. ათასობით მუშა ეზიდება ბამბას, ბრინჯს, აბრეშუმს, ტვირთავენ გემებს, რომლებმაც ჩინეთის ხალხის სიმდიდრე უცხოეთში უნდა გაზიდონ.

აგერ ნავი, რომელშიც ცხოვრობს ჩინელი მუშის მთელი ოჯახი, ცხოვრობს ძალლურად, მშიერ-მწყურვალი, გემის გვერდზე მიკრული. ზევიდან ასხამენ მას ჭუჭყიან წყალს და უყრიან ნასუფრალს.

ჩე-უ-ლი მოტყდა, ჩე-უ-ლი დაიქანცა უზომო შრომით, მაგრამ კუჭი ვერ გამოიძღო, ხშირად დილიდან საღამომდე დადის, დაეძებს სამუშაოს მშიერი კუჭით. მიბნედილი თვალებით დასდევს მას 11 წლის ლი-იუ-ჩან. ხშირად შიმშილობენ, ბევრი ვაი-ვაგლახი გამოსცადეს, მაგრამ ბოლოს ბედმა გაუღიმა მათ: ჩაის ფაბრიკაში მოეწყო ორივე მამა-შვილი. ფაბრიკის ეზოში მზეზე თბებოდა რამოდენიმე ნახევრადტიტველი კული*, გამხდარი, შიმშილისაგან ფერმკრთალი.

ფაბრიკანტი ჩასუქებული, ღიპიანი კაცი იყო. ჯერ კიდევ დილა იყო, გვარიანად ციოდა, მაგრამ მას მსუქან სახეზე ოფლი სდიოდა და წამდაუწუმ იწმენდდა თავისი ლურჯი ბლუზის სახელოთი.

ჭიშკართან ბორბლების ჭრიალი გაისმა. ფაბრიკის პატრონი გამოცოცხლდა და დაიყვირა, რაც ძალი და ღონე ჭქონდა:

— აი, თქვე ზანტებო, მუქთახორებო, გასწით, გაინძერით.

მუშები წამოცვივდენ და კისრისტეხით გაიქცენ ჭიშკრის გასაღებად. ჩე-უ-ლი და ლი-იუ-ჩან აედევნენ მათ. ესენი დღეს პირველად მოვიდენ ფაბრიკაში სამუშაოდ. ეზოში შემოვიდა ორი ჯაგვა, რომლებზეც იდვა რამოდენიმე კალათი, ახლადდაკრეფილი ჩაით დატვირთული.

— მოიტა კალათი, გაინძერი, — ყვიროდა ღიპიანი და წონიდა ჩაის. მუშებმა უცბად გააფინეს მიწაზე ჭილობები და თითოეულზე დაყარეს ჩაი, რომელიც მთასავით იდგა. მერე უცებ შეხტენ ამ ჩაიზე ფეხშიშველნი და დაუწყეს ჭყლეტა, რაც ძალი და ღონე ჭქონდათ.

ჩე-უ-ლისაც მისცეს ჩაის გროვა და ისიც აცეკვდა იმაზე. ლი-იუ-ჩან იდგა და მისჩერებოდა მუშებს, რომელნიც უცნაურად ხტოდენ ჩაის გორებზე. ფაბრიკანტმა წაარტყა მას კისერში ხელი და დაუყვირა:

— რას გაჩერებულხარ, ბუზიყლაპია! ვერ ხედავ, ფოთლები გაიბნა, აკრეფა არ უნდა!?

ლი-იუ-ჩან გაშრა, ცრემლები წამოუვიდა და შეუდგა გაბნეული ფოთლების აკრეფას...

მზე უკვე მაღლა ავიდა და მწველი სხივები გამოგზავნა დედამიწაზე. მუშები ოფლში გაიღვარენ, სახე გაუწითლდათ, სულს ძლივს იბრუნებდენ, მაგრამ ფაბრიკანტი სულთამხუთავივით ადგა მათ თავზე და ერთი წამით შესვენების ნებასაც არ აძლევდა. ჩე-უ-ლის არ სურდა ჩამორჩენოდა ამხანაგებს, სასაკილოდ ძუნძულებდა თავისი ჩაის გორაზე და პირდაღებული ძლივს სუნთქავდა.

ლი-იუ-ჩანს ძალიან აკვირვებდა ამგვარი მუშაობა. მან შემდეგ გაიგო, რომ მუშებს ამრიგად უნდა გამოედინათ ჩაისთვის მწარე წვენი. ის მისჩერებოდა თავის მამას და, თუმცა გაცინება უნდოდა, თავს იმაგრებდა: ფაბრიკანტმა კიდევ არ ჩამარტყასო.

ლიმ მალე დაინახა, რომ ეს ცეკვა არ იყო სამხიარულო: მოცეკვავენი სულს ძლივსღა ღაფავდენ. ოფლი ღვარად მოდიოდათ სახეზე და ტანზე, ფეხებზე

---

* მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის სველი ფოთლები ჰქონდათ მიკრობილი. ზოგი კული კოჭლობდა და ჩვრით შეკრულ ფეხზე იკიდებდა ხელს.

შუადღისას ჩაის გორები დაპატარავდა. როდესაც დაჭყლეტილი ჩაის ფურცლები გაშავდა და დასველდა, სუქანმა ფაბრიკანტმა შეაჩერებინა ცეკვა და მუშებმა დაიწყეს დაჭყლეტილი ჩაის მაღალ კალათებში ჩალაგება.

როდესაც აავსო ერთი კალათი, მამამ შეიდგა მხარზე ლი-იუ-ჩანის დახმარებით და წაიღო ტალანში, სადაც მეტად საამური სუნი იდგა. ლიმ შეისუნთქა ჰაერი.

— უჰ, რა კარგი სუნია! რა არის ეს?—ჩურჩულით ჰკითხა მამას.

— ეს ჩაია,— ჩურჩულით უპასუხა მამამ.

— რძე რომ სითბოში გავაჩეროთ, რა მოუვა? აიჭრება, არა? ყურძენი რომ გავაჩეროთ, ის ხომ დამჟავდება, დუღილს დაიწყებს. აი ასევე ემართება ჩაისაც აქ, რადგან სითბოა. ამის გამო ჩაი უფრო კარგი და მაგარი გამოდის, მაგრამ ძალიან დიდხანს თუ გავაჩერეთ, ის ამჟავდება და წახდება.

შუადღეა. მზე საშინლად იკბინება. მუშების ტიტველ ზურგს ოფლი ნაკადულებად ჩაუდის. ფაბრიკაში ისევ გაცხოველებული მუშაობაა. მოვიდენ კული, აარჩიეს ის კალათები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ეწყო ტალანში ასამჟავებლად და სუფთა ჭილოფებზე დაჰყარეს ჩაი გასაშრობად. ჩაი გაშალეს თხელ ფენებად, რომ მზის სხივი ყველგან მოხვედროდა. ფაბრიკანტი წამდაუწუმ მისჩერებოდა ცას და ღელავდა: ვაი თუ წვიმა წამოვიდეს, ხომ დავიღუპეო! მზე მუქთია, მზეზე ჩაი კარგად შრება, ნახშირში კი ფული უნდა მისცეს და ხშირად ჩაიც ფუჭდება, მეტისმეტად შრება და იწვის კიდეც. მაგრამ ცა მოწმენდილი იყო, და ჩაის ფოთლები მალე გაშრა, გაყომრალდა, დაიხვა. ლი ჩაცუცქდა, აიღო ერთი მუჭა ჩაი და სინჯვა დაუწყო.

— რა მშვენიერია, მილივით არის, ზოგი გრძელია, ზოგი მოკლე. ნეტავ რატომ? აჰა, მივხვდი: ალბათ იმიტომ, რომ ზოგი ფოთოლი პატარა იყო, ზოგი დიდი, და ყველა ერთად იყო არეული.

— ა, შე ღორის კუდო! დოყლაპია, გაინძერი ახლავე, შე წელმოთრეულო, თორემ ამ ბამბუკის ჯოხს გადაგამტვრევ ზურგზე!—მოესმა მას ბრაზიანი ყვირილი. ყვირილს თან მოჰყვა მუჯლუგუნი, და ლი დამფრთხალი კურდღელივით გაიქცა მუშებისკენ. ამათ მოაგროვეს გამომშრალი ჩაი, დადგეს პატარა-პატარა გროვებად და ისევ აცეკვდენ ზედ ფეხებით. ფაბრიკანტმა უბრძანა ლის შესულიყო თავისუფალ გროვაზე და დაეწნეხა. პატარა ჩინელი შეხტა და დაიწყო ფეხების სწრაფი მოძრაობით ჩაის დასრესა, გრძელი ნაწნავი კი სასაცილოდ დახტოდა მის გამოპარსულ თავზე.

— ნელა, ნელა, შე ელამო მაიმუნო! ასე ხომ სულ დაფშვნი ჩაის და მტვერი კი ვის რა ჯანდაბად უნდა! ნელა მეთქი, არ გეყურება?

მან ჰკრა ბავშს ხელი, შედგა ჩაიზე და ნელა დაიწყო ზედ ტორტმანი.

— აი, ასე უნდა!

გამომშრალი ჩაის მილები მალე დატყდა, და ფაბრიკანტსაც მხოლოდ ეს უნდოდა. ახლა წეღანდელი გრძელი მილები ისე მოკლე იყო, როგორც სხვები.

— კმარა, აკრიფეთ! — ბრძანა ფაბრიკანტმა და ძუნძულით გაიქცა ფანჩატურისკენ, სადაც რამდენიმე საცერი ეწყო. ჩე-უ-ლიმ და ლი-იუ-ჩანმა სხვებზე ადრე მოაგროვეს თავისი ჩაი, ჩაჰყარეს კალათებში და მიუტანეს პატრონს.

— გადმოჰყარე!—სთქვა მან და მიუშვირა ყველაზე წმინდა საცერი. დაღლილობისაგან აკანკალებული ხელებით დააცალიერეს თავისი კალეთები მუშებმა, მოიწმინდეს ოფლი, წურწურით რომ ჩამოსდიოდათ, და განზე გადგენ.

სულ პაწაწინა ჩაი გავიდა ყველაზე წმინდა საცერში, ცოტა უფრო სხვილი გავიდა იმ საცერში, რომლის ნახვრეტებიც ცოტა უფრო დიდი იყო, კიდევ უფრო მსხვილები გავიდა მესამე საცერში და მეოთხეში კი — დანარჩენი. მაშინ პატარა ლიმ დაინახა, რომ ერთი გროვის მაგივრად ჩაის ოთხი გროვა იყო, ოთხი სხვადასხვა ხარისხის ჩაი იყო. ყველაზე კარგი იყო პირველი, ყველაზე უფრო წმინდა საცერში გასული, ყველაზე ცუდი — უკანასკნელი, სხვილი.

— შესანიშნავი ჩაია, შესანიშნავი!—ბუტბუტებდა ფაბრიკანტი და გუნებაში ითვლიდა, რამდენს მოიგებდა.

დაღლილ-დაქანცული მუშები წავიდენ ზლაზვნით სასადილოსკენ, იქ შეჭამეს წყალში მოხარშული ბრინჯი და მერე წავიდ-წამოვიდენ და მკვდრებივით მიეყარენ დასაძინებლად, რომ ხვალ დილით კვლავ ასე დაეწყოთ აუტანელი შრომა ორიოდე გროშისთვის და ცივი ბრინჯისთვის.

ნავსადგურში იკივლა უზარმაზარმა გემმა. ის ევროპაში მიდიოდა და თან ყუთებით მიჰქონდა ჩაი, ბრინჯი, აბრეშუმი. იქ აადუღებენ ამ ჩაის, დალევენ და იტყვიან:

— ოჰ, რა მშვენიერი ჩაია!..

—

ასე უამბო მამამ თავის მიშას გაზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც აივანზე ისხდენ და გადასჩერებოდენ მათ თვალწინ გადაშლილ ტფილისს.

— მამა, ჩვენშიც ხომ მოდის ჩაი? — იკითხა პატარა რეზომ.

— მოდის, შვილო, როგორ არ მოდის. აი, ზაფხულზე ქობულეთში წავიდეთ, იქიდან ჩაქვშიც მივიყვანთ და გაჩვენებთ ჩაის პლანტაციებს. ჩვენში აჭარაში და გურიაში ჩაი კარგად ვარგობს, რადგან ჰავა რბილია. 40.000 დესეტინა მიწა მაინც გვექნება, სადაც შეიძლება ჩაის ბუჩქის მოშენება. ჩაი დიდ სარგებლობას მისცემს ჩვენ ხალხს: ის ხუთჯერ უფრო შემოსავლიანია, ვიდრე სიმინდი. ერთი დესეტინა 15 თუმნამდე წმინდა მოგებას დასტოვებს. საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენს ჩაის და ყოველგვარად უწყობს ხელს გლეხებს, რომ მათ რაც შეიძლება მეტი ჩაის პლანტაცია გააკეთონ.

**შ. ფარცხნალელი.**

# როგორ უნდა მოვეწყოთ საექსკურსიოდ.

**საბარგო ჩანთა.**

სამგზავრო მოწყობილების ძირითად შემადგენელ ნაწილად საბარგო ჩანთა ითვლება, რომლითაც შეიძლება ყოველგვარი წვრილმანი ნივთების წაღება.

საბარგო ჩანთის მოქსოვა ყველას შეუძლია. ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა ბრეზენტი, რომლის ნაჭერიდან იკერება ოთხკუთხედი, სიგრძით 110 სანტიმ. და სიგანით 55 სანტ. ერთ-ერთ თავში უკეთდება 17 სანტ. სიგრძის პირი.

ჩანთა რაც შეიძლება კარგად უნდა გაიკეროს, გაუკეთდეს თავის მოსაჭერიც. კარგია იქონიოთ მხრების ქამრები, მაგრამ რაც შეიძლება ფართე, რომ მძიმე ჩანთის ტვირთით არ დაგიზიანდესთ მხრები.

როგორ უნდა ჩააწყოთ ჩანთაში პირველი საჭიროების საგნები? რასაკვირველია, რაც შეიძლება სისტემაზე, რომ ერთმანეთში ყველაფერი არეული არ იყოს. ასე, მაგალითად, საცვლების წყება, ფუფაიკა, წინდები და სხვა ეწყობა ფსკერში, ყველაფერი ის კი, რის ამოღებაც ხშირად მოგიხდებათ, მაღლა უნდა ჩაალაგოთ, მაგალითად, ჭიქა, კოვზი, შაქარი და სხვა. სანოვაგე ნივთები კარგად უნდა იყოს გახვეული ცალკე ქაღალდებში, ქონი, ზეთი და სხვა ასეთები კი კოლოფებში უნდა იყოს.

იმისთვის, რომ საბარგო ჩანთაში ყველაფერი თავის რიგზე გქონდესთ, საჭიროა ერთგვარი ეგრეთწოდებული „ჩანთების სისტემის“ დაცვაც.

უკანასკნელი შემდეგში მდგომარეობს: ყველა ერთნაირი ხასიათის ნივთები, როგორც, მაგალითად, სანოვაგე, სატუალეტო მოწყობილობა და სხვა, ეწყობა ერთგვარ პატარა ტომსიკებში, რომელნიც შემდეგ ჩალაგებული იქნება რიგზე ჩანთაში. ამრიგად ყოველთვის, როცა საჭირო იქნება, საშეალება გექნებათ თავისუფლად მისწვდეთ და მოიხმაროთ ის, რაც გსურთ. რაც შეეხება საგებ-სახურავს, ის კარგად უნდა დაახვიოთ და სპეციალური ქამრით ჩანთასთან ერთად ზიდოთ.

წყლის სასმელი ჭურჭელი („ფლიაჟკა“) მხარზე უნდა გადაიკიდოთ. მოგზაურობაში ხშირად საჭიროა დანა, ამიტომ ის არ ინახება ჩანთაში, რომ დიდხანს ძებნა არ დაგჭირდესთ ან არ დაგეკარგოსთ, რაც ხშირად ხდება; ამიტომ ის უნდა ატაროთ სპეციალური ბუდით, რომელსაც ქამარზე გამოიბამთ.

უბის წიგნაკს ჩვეულებრივ ატარებენ უბის ჯიბით. თქვენც ასე მოიქცევით.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაიცვათ მოგზაურობის დროს. ამისი მთავარი პირობაა სისადავე და სიმსუბუქე, ასეთ ქსოვილს კი წარმოადგენს ფანელი; ხალათს კერავენ გადასაფენით და ორი გულის ჯიბით. ტრუსიკები იკერება მუხლამდე და ისიც ჯიბეებით. ქამარი უნდა გქონდესთ მაგარი, მატყლის წინდები უნდა იყოს გრძელი, რომ ცივ ამინდში მით შეიძლებოდეს მუხლების დაფარვა. ამისთვის საჭიროა ეგრეთწოდებული სასპორტო წინდების შეძენა. ფეხსაცმელი საჭიროა მაგარი და სრული, რომ ფეხი თავისუფლად იყოს შიგ. ვიწრო ფეხსაცმელი გამოუსადეგარია. მაგრამ არც მაინცდამაინც სრულია საჭირო, რომ ბევრი სიარულის შემდეგ ფეხი არ გატკინოსთ. ყველაზე საუკეთესო ფეხსაცმელად ამ შემთხვევაში ითვლება ტილოს ტუფლები მოკლე ქუსლებით და სქელი ძირით.

# პიონერთა გამოფენაზე.

(ტფილისი)

გარედან ეს შენობა ჩვეულებრივ ბატარა ეკლესიას ჰგავს, შიგნიდან კი „წმინდანთა“ სატების მაგიერ ყველაფერი ლამაზი ბლაკატებით, დროშებით, ლენინის მეგლით და აუარებელი კედლის გაზეთითაა მოფენილი. ეს გამოფენა მოწყობილია პიონერების მეორე რაიბიუროს მიერ მილიუტინის ქუჩაზე, საკუთარ კლუბში.

გამოფენა მოწყობილია ბავშთა მერვე საერთაშორისო დღეზე; მისი მიზანია აჩვენოს ყველაფერი ის, რაც ერთი წლის განმავლობაშია გაკეთებული ბავშების მიერ.

ეურადღებას იპყრობს კედლის გაზეთები. აშკარად ჩანს ბეჯითი მუშაობა. კარგია სათაურები და კარიკატურები პიონერების ცხოვრებიდან. აქ კედლის გაზეთები სულ სხვადასხვა ხასიათისაა. მათი სახელწოდებაა: „რევოლუციის გზით“, „წითელი ეშმაკუნები“, „ილიჩის ბავშები“ და სხვა.

ეს გაზეთები საუკეთესო სარკეა, მათში მკაფიოდ მოჩანს თანამედროვე პიონერების სახე, მოთხოვნილებანი, მიხწევები და შესაძლებლობანი.

კედლის გაზეთებში კარგადაა მოთხრობილი იმის შესახებ, თუ რა ექსკურსიები მოეწყო, თვითმოქმედების რა წრეები და სად მუშაობდენ. აქვე შეხვდებით შენიშვნას მასწავლებლის ცუდი მოპყრობის, ცუდი მეთაურის, პიონერის და სხვა საინტერესო საკითხის შესახებ. ერთი სიტყვით, კედლის გაზეთები გამოფენაზე პიონერ-მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

თვითმოქმედიანობის წრეების მუშაობას გამოფენაზე ცალკე კუთხე აქვს დათმობილი. აქაც არა ნაკლებ საინტერესოა მიხწევები. აი გულდასმით აკინძული ბლოკნოტები და წიგნები. მე-113 შრომის სკოლის მოწაფეებს მე-10 და მე-30 კოლექტივების წყალობით არ ექნებათ დახეული წიგნები და სახელმძღვანელოები. ეს მათი მუშაობის შედეგებია.

პიონერ ქალებს გამოუფენიათ თავისი ხელით გაკეთებული საგნები, აქ შეხვდებით პიონერებისათვის ხალათებს, შარვლებს, ტრუსიკებს, ეელსახვევებს. ნამუშევარი იმდენად სუფთა და ხელოვნურია, რომ არ გჯერა, თუ ეს ბატარა პიონერი ქალების ნამუშევარია.

მე-16 პიონერ-კოლექტივის ოქტომბრელებსაც მოუტანიათ გამოფენაზე თავისი ნამუშევარი: ბატარა მაგიდები, სკამები და სხვა. ისინიც აქვე არიან და თვითონაც ათვალიერებენ თავის ნამუშევარს.

გამოფენაზე მეტად საინტერესოდაა წარმოდგენილი რადიო-აპარატურა, რაც პიონერების მიერაა გაკეთებული. ყველა ამ აპარატს აშკარად აზის დაკვირვებული და ბეჯითი მუშაობის ნიშანი. ეს განუოფილება ცხადყოფს, თუ რამდენად ძლიერია,—როგორც რაობის, ისე რაოდენობის მხრივაც, პიონერებს შორის რადიოსადმი ინტერესი.

ავიაქიმიის წრეებს გამოუფენიათ თავისი საამხედრო კუთხეები: თვითმფრინავების ნიმუშები, გემები, ტანკები, ეუმბარები, რაც ამჟამად მოწმობს, თუ რა დიდია პიონერების ლტოლვა გასამხედროებისაკენ. „ნიშანში კარგად სროლა“—აი ყოველი პიონერის საოცნებო მიზანი.

მთელი ეს გამოფენა მესამე თაობის ნაყოფიერი და ენერგიული ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია. ჩანს, ტარდება ცხოვრებაში კომკავშირის და ბარტიული ორგანიზაციების დადგენილებანი პიონერთა შორის ცოცხალი მუშაობის, მათი მტკიცე ლენინური გზით აღზრდის და მათთვის ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ. ცვლის ცვლა იზრდება და ძლიერდება.

ედ. შმერლინგი.

# როგორ ვიკითხოთ წიგნები?

ვიდრე ამას ვუპასუხებდეთ, გავაშუქოთ, თუ **რას უნდა კითხულობდეს** პიონერი.

პიონერი და ვერცერთი ბავში მარტო სკოლაში სწავლით, კრებით, პოლიტიკური საუბრით, ტანვარჯიშობით ვერ დაკმაყოფილდება. ბავშებისათვის აუცილებელია გართობა, ჯანსაღი დასვენება, კარგი წიგნების კითხვა.

პიონერები წაიკითხავენ სასწავლო წიგნებს და გაზეთს, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. საჭიროა სხვაც, მაგალითად, მოთხრობანი და ლექსები, რაც ბავშებს გაართობს და გაამხიარულებს.

არც ყოველგვარი გართობაა გამოსადეგი. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ მოთხრობა და ლექსი მუშათა კლასის მოსიყვარულე ადამიანის დაწერილი იყოს, ის ცხოვრების სინამდვილეს ეხებოდეს, სიცრუეს არ წარმოადგენდეს, ბავში შეცდომაში არ შეიყვანოს, შინაარსი თანამდროვე და რევოლუციონური იყოს, ამასთანავე, მოთხრობა და ლექსი ლამაზად შედგენილი, გასაგები, საინტერესო უნდა იყოს, რომ მკითხველი მიიზიდოს, მის გრძნობებზე დადებითი გავლენა მოახდინოს.

გარდა ამისა, პიონერებმა უნდა წაიკითხონ მდაბიო ენაზე დაწერილი წიგნები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა წყობილება, რას წარმოადგენს ბურჟუაზიული წყობილება, საით მიდის კაპიტალიზმი; კლასთა ბრძოლა; პიროვნება კლასს ემორჩილება, პიროვნება ისტორიას ვერ შესცვლის, მაგრამ მასზე დროებით პირადი გავლენის მოხდენა შეუძლია; ბელადი—კლასის ხელმძღვანელია. ასევე აუცილებელია ბუნების და მისი კანონების, მოვლენების გაცნობა; როგორ გაჩნდა ადამიანი, ცხოველები, მცენარეები; მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები, როგორ გამოვიყენოთ ის ბუნების დასამორჩილებლად და სხვა.

**სად ვიკითხოთ წიგნი?**—ესეც მნიშვნელოვანი საკითხია.

კარგ ამინდში ყველაზე უკეთესია ჰაერზე კითხვა. როდესაც ოთახში გიხდებათ კითხვა, ოთახში სუფთა ჰაერი, სიჩუმე და კარგი სინათლე უნდა იყოს. მაგიდა ფანჯარასთან უნდა იდგეს, სინათლე წიგნს მარცხნიდან უნდა ეცემოდეს.

თუ ეს პირობები საკუთარ ოთახში არ არის, ბიბლიოთეკა-სამკითხველოში უნდა წახვიდეთ.

ვისაც ღამით უხდება კითხვა, ოთახი კარგად განათებული უნდა იყოს და ლამფა ლურჯი ქაღალდით დაფარული, რომ სინათლე წიგნს ზევიდან ან გვერდიდან ეცემოდეს, ხოლო თვალი ჩრდილში იყოს; მაშინ თვალი ძლიერ არ დაიღლება; ჰაერზე კითხვის დროს წიგნს მზის სხივები არ უნდა ეცემოდეს.

ყველაზე უმჯობესია მაგიდასთან დამჯდარი კითხვა. სკამი მოხერხებული უნდა იყოს. დაბალი მაგიდა, რომელიც ადამიანის დახრას იწვევს, უვარგისია. საერთოდ, როგორც უარყოფითი მოვლენა, უნდა განიდევნოს ჩვეულება დაწოლილად (ლოგინში) წიგნის კითხვის (დღით თუ ღამით—სულერთია).

წიგნის კითხვისას დროგამოშვებით შეიძლება პოზის შეცვლა. შეიძლება დამდგარმა წაიკითხო, შემდეგ ისევ დაჯდე.

წიგნი პირდაპირ შენს წინ უნდა დასდო. თუ წიგნს ქვევიდან რასმე ამოსდებ ისე, რომ ქვეითა ნაწილი უფრო დახრილი იყოს, ეს უმჯობესია.

წიგნი უნდა დაიჭრას ბოლომდე და ამნაირად კითხვას არ მოსწყდებით.

ამ წესით კითხვამდე, როგორც დავინახეთ, საჭიროა მოამზადოთ შემდეგი: ჰაერი, სინათლე, მაგიდა და წიგნი.

**როგორ უნდა შეარჩიო წიგნი?** უნდა აირჩიო ის წიგნები, რომელნიც გაინტერესებს და ძირითადი. ჯერ ერთი დარგის წიგნები უნდა წაიკითხო საფუძვლიანად, შემდეგ სხვა დარგის. ერთსადაიმავე დროს ყველაფრის ერთბაშად გამოკიდება არ ივარგებს.

ჯერ უფრო ადვილად გასაგები წიგნი უნდა წაიკითხოთ, შემდეგ—უფრო ღრმა შინაარსის.

წასაკითხავად განზრახული წიგნების სია წინასწარ უნდა შეადგინოთ. ამ მიზნით წინასწარ უნდა გამოარკვიოთ დღეში რამდენ ხანს იკითხავთ, ერთ საათში რამდენი გვერდის წაკითხვა შეგიძლიათ, წიგნი რამდენგვერდიანია და სხვა.

**კითხვის წესი როგორია?** დილით უფრო ძნელი შინაარსის წიგნი უნდა წაიკითხოთ (მაგალითად, მშრალი, მეცნიერული წიგნები). საღამოს, როდესაც დაღლილი ხართ, „მსუბუქი“ ლიტერატურა, მაგალითად, მოთხრობები და ლექსები.

საერთოდ ყველაზე უფრო უმჯობესია წიგნის დილით კითხვა. ძლიერ კარგი და სასარგებლოა, თუ კითხვის დაწყებამდე და შესვენებისას ადამიანი ფიზიკურად ივარჯიშებს (ეს უკეთესია ჰაერზე).

წიგნის კითხვის დროს სხვა რამეზე არ უნდა იფიქროთ.

45 წუთის განმავლობაში კითხვის შემდეგ საჭიროა 15 წუთამდე დასვენება. ამ წესით სამი საათის განმავლობაში კითხვის შემდეგ ერთი საათით დასვენება აუცილებელია.

წიგნი **წინასწარ უნდა გაითვალისწინოთ**. ეს იმას ნიშნავს, რომ კითხვის დაწყებამდე წიგნი ზერელედ უნდა გადაათვალიეროთ: წაიკითხოთ ავტორის სახელი და გვარი; სათაური, ქვესათაური; ორიგინალურია თუ თარგმანი, რომელი ენიდან, ვინ სთარგმნა; რომელი გამოცემაა (პირველი, მეორე... შესწორებულია, დამატებულია და სხვა); გამოცემის დროსად გამოიცა; ვინ გამოსცა; ტირაჟიც გასინჯე; ამით გამოარკვევ, თუ როგორია ამ წიგნისადმი ინტერესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოთხოვნილება. შემდეგ სარჩევი („შინაარსი") და შესავალი (ან წინასიტყვაობა) მიგაგადაშიგ გადაათვალიერეთ.

ეს იმისთვის არის საჭირო, რომ გამოარკვიოთ, ეს წიგნი გჭირდებათ თუ არა, დასძლევთ? წაკითხვას რამდენი დრო მოუნდება, როდის უნდა წაიკითხოთ და სხვა.

როდესაც უცხო სიტყვა შეგხვდებათ და ის თქვენთვის უცნობია, გამოარკვიეთ რას ნიშნავს: ლექსიკონი გადაათვალიერეთ ან მცოდნე ამხანაგს ჰკითხეთ.

ზოგიერთი წიგნის ყდაზე მოთავსებულია ამავე საკითხზე სხვა წიგნების სია; ესეც გადაათვალიერეთ. თუ დაგჭირდესთ, შეიძინეთ ან ბიბლიოთეკას მიმართეთ.

**კითხვის დროს** რას უნდა მიაქციოთ ყურადღება?—**რას** ამტკიცებს ავტორი, რა შეხედულების არის ის. ამიტომ მთავარი შინაარსი გამოჰყავით და შეაფასეთ.

ზოგიერთ წიგნში იპოვით მრავალ საინტერესო ცნობას და ფაქტს ისტორიიდან, სტატისტიკიდან, მეცნიერებიდან. ესეც კარგად უნდა დაიმახსოვროთ.

გამოარკვიეთ, რა საბუთები მოჰყავს ავტორს და ის სწორია თუ არა.

უნდა გავიგოთ, თუ რომელი მოძღვრებით ხელმძღვანელობს ავტორი.

გარდა ავტორის აზრის შეთვისებისა, გამორკვევისა და მასზე დაფიქრებისა, საჭიროა წაკითხულის კრიტიკა: ავტორის აზრებს შორის არის თუ არა კავშირი, მისი აზრები სწორია თუ არა, ამგვარი სხვა წიგნი თუ წაგიკითხავს, რა აზრი იყო იქ, ვინ არის მართალი და სხვა.

შემდეგ შენს თავს ანგარიში უნდა მისცე: ამ წიგნის წაკითხვით შეიგნე თუ არა რაიმე ახალი, რამდენად არის ის სასარგებლო, რა ახალი აზრები დაგებადა...

წიგნი არა მარტო უნდა იკითხებოდეს, არამედ ის უნდა **შეისწავლოთ.**

ბელეტრისტიკის წაკითხვის დროს ამავე ავტორის რამდენიმე წიგნი უნდა წაიკითხოთ, რომ ავტორი კარგად შეაფასოთ. ამასთანავე სასურველია ამ მწერლის შესახებ კრიტიკული ნაწერების წაკითხვა და, აგრეთვე, იმ მეცნიერული წიგნის, რომელშიც სხვა სიტყვებით მოთხრობილია იგივე ამბავი.

წაკითხულ წიგნზე უნდა **დასწეროთ** მისი მოკლე შინაარსი (კონსპექტი). წიგნი მოკლედ შეაფასეთ ან საგულისხმო ადგილები ამოსწერეთ. კონსპექტი მოკლე უნდა იყოს და ისიც უფრო მნიშვნელოვან წიგნზე უნდა დაიწეროს და არა ყველაზე.

მხოლოდ საკუთარი წიგნის გვერდებზე შეგიძლიათ თქვენი აზრის აღნიშვნა: უმთავრეს სიტყვებს ქვევით ხაზი უნდა გაუსვათ. უფრო მნიშვნელოვან წინადადებებს—ორი ვერტიკალური ხაზი. რასაც არ დაეთანხმებით, კითხვის და გრძნობის ნიშანი დაუსვით...

ცოდნის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად, თანდათან უნდა მიმართოთ უფრო რთულ წიგნებს და ამავე დროს მნიშვნელობა აქვს ექსკურსიებს, მუზეუმების დათვალიერებას, ძველი მასალების შესწავლას, რუკებს, დიაგრამებს...

წაკითხული წიგნები, მათზე შენიშვნები, კონსპექტები და სხვა ამგვარი დაცულ ადგილას უნდა შეინახოთ, რომ საჭიროების დროს გამოიყენოთ.

დაახლოვებით ზემოაღნიშნულის მიხედვით უნდა წაიკითხოთ გაზეთი და ჟურნალი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გაზეთსა და ჟურნალში ყველაფერს არ კითხულობენ, არამედ უმთავრესს და საინტერესოს.

წიგნის კითხვა **კოლექტიურად წრეში** სასურველია, თუ წრეში დისციპლინა იქნება, თავის დროზე მოსვლა, სერიოზული მეცადინეობა, საქმიანი სჯა-ბაასი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ეს გააცხოველებს და გააახალისებს ადამიანის ინტერესს. კოლექტიური კითხვის დროს უნდა დავიცვათ ყველა ის წესი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

წიგნის საშაუალებით ჩვე ვსწავლობთ, ცოდნას ვიძენთ, მაგრამ ეს ცოდნა ფუჭი იქნება, თუ ის ცხოვრებაში არ გამოვიყენეთ, სიტყვა საქმედ არ ვაქციეთ. **სწავლასთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ, წიგნი, ჩაქუჩი და თოფი ერთმანეთს არ უნდა დავაშოროთ.**

აი ამის შესახებ რას გვირჩევდა **ლენინი:**

**„კომუნიზმის წიგნობრულ შესწავლას კომუნისტური ბროშურებით და ნაშრომებით არავითარი ფასი არა აქვს, თუ მას თან არ ახლავს შრომა და ბრძოლა, ვინაიდან ეს თეორიასა და პრაქტიკას შორის ძველი გათიშვის განგრძობა იქნებოდა, ის ძველი გათიშვა, რომელიც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების მეტად საზიზღარ თვისებას შეადგენდა'' (იხილეთ ბროშურა ,,ახალგაზრდათა კავშირის ამოცანები'', ქართულ ენაზე,** გვერდი 17, ტფილისი, 1924 წ.)

ლენინი, აგრეთვე, გვირჩევს შევიძინოთ მთელი ის ცოდნა, რომელიც კაცობრიობას დაუგროვებია თავისი განვითარების მანძილზე, მაგრამ...

**„თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ცოდნა, არამედ უნდა შეითვისოთ ისე, რომ კრიტიკულად მიუდგეთ მას, რომ გონება არ გამოილაყოთ იმ უვარგისი მასალით, რომელიც საჭირო არ არის, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც არ შეიძლება იყოთ თანამედროვე განათლებული ადამიანი"** (იქვე, გვერდი 23, კურსივი (ხაზი) ყველგან ჩვენია)

ყოველივე ამის შესრულებით უფრო კულტურული იქნება ახალი თაობა, ე. ი. მას ბევრი ეცოდინება ერთ რომელიმე დარგში და ცოტა რამ ბევრის შესახებ; ეს ეკონომიურად და კულტურულად გააძლიერებს საბჭოთა კავშირს; ამით მოვსპობთ იმ ნაკლს, რომელიც ჩვენში დარჩენილია, დავაჩქარებთ კულტურულ რევოლუციას, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის პირველხარისხოვანი ამოცანათაგანია.

**ყოველთვის მზად ვიყოთ და შევასრულოთ ლენინის ეს დიადი ანდერძი.**

## საბჭოთა კავშირის მიღწევები ელექტროფიკაციის დარგში

ელექტროფიკაციის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში განუზომელია. სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას შეუძლია მოგვცეს ხელში ნამდვილი იარაღი ჩვენი მეურნეობის სოციალისტური განვითარებისათვის. ელექტრონს ბევრი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. ელექტრონის ერთ-ერთ ასეთ უპირატესობას შეადგენს ენერგიის ისეთი წყაროების გამოყენება, რომელიც სხვა პირობებში ან სრულიად გამოუყენებელი დარჩებოდა, ან ნაკლებად იქნებოდა გამოყენებული. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ წყლის ძალა, რომელიც უთუოდ გამოუყენებელი დარჩებოდა, რომ ელექტრო-ტექნიკას არ შესძლებოდა მისი ელექტრონის ენერგიად გადაქცევა.

ელექტრონის შემდეგი დიდი მნიშვნელობა გამოიხატება მის მრავალად დამუშავების შესაძლებლობაში და შემდეგ ამ ელექტრონის ენერგიის დიდ მანძილზე გადაცემაში. ეს შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ სათბობი მასალით მდიდარი, მაგრამ მიუვალი ადგილები და კულტურული ცენტრიდან დაშორებული მთის მდინარეები.

ამხ ლენინის სიტყვით, ელექტრონის ენერგია პირველი და აუცილებელი საშუალებაა შრომის ნაყოფიერების წინწასაწევად. „ჩვენ გვინდა,—ამბობს იგი,—რომ შრომის ნაყოფიერების პირობებში მშრომელთ ეძლეოდესთ ასპარეზი ცხოვრების სხვა მხარეებისათვისაც, გონებრივი განვითარებისა და წინსვლისათვის. ელექტრონის გამოყენებას ფაბრიკის სახელოსნოებში შეაქვს სიფართოვე, სინათლე, ჰაერი და, საერთოდ, მშრომელთათვის ჰქმნის სათანადო ჰიგიენურ პირობებს. ამავე საშუალებით იქმნება ისეთი პირობები, როდესაც შრომის ნაყოფიერებას მუშების ნაკლები დაქანცვა მოსდევს“. ამ მოსაზრებით, ჯერ კიდევ 1922 წლის ბოლოს დაისვა საკითხი ელექტრო-შენების სამუშაოების მოსაწყობი გეგმის შედგენისა და განხორციელების შესახებ.

პირველი ელექტროსადგურები, რომელიც წამოწყებული იყო, არის: ვოლხოვის, შატურის, კაშირის, კიზელოვისა და წითელი ოქტომბრის.

1918 წლიდან დაწყებული 1923 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ ომისა და რევოლუციისაგან საბჭოთა კავშირს ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა ძალზე შერყეული ჰქონდა, ხელისუფლება ხალხისა და მშრომელთა მასის საკეთილდღეოდ არ იზოგავს თავს და თავისი საკუთარი სახსრებიდან ელექტროფიკაციის საქმეზე დიდ თანხებს ხარჯავს.

ის თანხა, რომელიც დღემდე საბჭოთა ხელისუფლებამ მოახმარა ელექტროფიკაციის განვითარებისა და აღმშენებლობის საქმეს, შეადგენს დაახლოვებით 360 მილ. მანეთს. შესაძლოა თავისთავად ეს ციფრი მნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ ის, რომ კავშირის მთელი შემოსავალი, თუნდაც უკანასკნელი წლის (26/27 წ.) განმავლობაში, 5 მილიონ მანეთს შეადგენდა და ელექტროფიკაციის ასაყვავებლად გაიღო თითქმის მეოთხედი მილიონი მანეთი, იმის უდავო მაჩვენებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდის ყურადღებით ეწევა ქვეყნის და, მაშასადამე, მუშისა და გლეხის სამეურნეო ცხოვრების განმავითარებელ და აღმადგენელ მოღვაწეობას.

ქალაქისა და სარაიონო სადგურების საერთო ძალა ორჯერ აღემატება იმ სადგურების ძალას, რომელნიც ომამდე არსებობდენ და მუშაობდენ.

ასე, მაგალითად, 1913 წელს საერთო რიცხვი ქალაქისა და რაიონული ელექტრო-სადგურებისა 230 უდრიდა, 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის კი სულ 658 ელექტროსადგური იყო აღრიცხული. რაც შეეხება სადგურების საერთო ძალას, 1913 წელს შეადგენდა—327.901 ათას კილოუატს, ხოლო 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა 733,655 ათას კილოუატს. როგორც ვხედავთ, როგორც ელექტროსადგურების რაოდენობით, ისე მათი საერთო ძალის მიხედვითაც, არამცთუ მივაღწიეთ ომის წინადროინდელ დონეს, კიდეც გავუსწარით, უფრო მეტი ძალისა და რიცხვის ელექტროსადგურები მუშაობენ დღეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ასაყვავებლად.

ამრიგად, მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, მიუხედავად მუშაობის მეტისმეტად ძნელი პირობებისა, ელექტროფიკაციის გეგმა შეუდრეკლად ხორციელდება. კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულმა ქვეყანამ მტკიცედ გადასწყვიტა წავიდეს წინ, სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობისაკენ.

# ჭადრაკი

**შამათი ლაზიერით პაიკის წინააღმდეგ.** შამათის გაკეთება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პოზიციები უჭირავთ მოთამაშეთა კოჭებს. ძლიერი მხარე (ვისაც ლაზიერი ჰყავს) ყოველთვის გაიმარჯვებს პაიკზე, თუკი ეს უკანასკნელი ან კუს ან ეტლის პაიკი არაა და უკანასკნელი ჰორიზონტალის მეზობელ რიგზე არ იმყოფება. თუ ეტლის ან კუს პაიკი მისულია ამ რიგზე (თეთრები მე-7-ზე, ხოლო შავები მე-2 ზე), მისი მეფე გვერდით იმყოფება და მოპირდაპირე მეფე კი დაშორებითაა. მაშინ შამათი შეუძლებელი ხდება ამის მაგალითსა და სათანადო ახსნას ქვემოთ მოვიყვანთ, ახლა კი გავარჩიოთ შამათის ისეთი შემთხვევა, როდესაც სუსტი მხარის (შავების) პაიკი მეორე რიგამდეა მისული და მის წინააღმდეგ ლაზიერი იბრძვის (იხ. დიაგრ. № 1).

განგებ მოგვყავს ძლიერი მხარისათვის ასეთი არახელსაყრელი მდგომარეობა. საკმარისია ერთი სვლა, რომ შავი პაიკი ლაზიერად იქცეს და თამაში უკეთეს შემთხვევაში უშედეგოდ დამთავრდეს. თეთრი მეფე ძალიან არის დაშორებული იმ ადგილს, სადაც გენერალური ბრძოლა უნდა გაიმართოს. თეთრები ასეთ ტაქტიკას მიმართავენ: მათ წინდაწინვე იციან, რომ მეფის დაუხმარებლად ვერაფერს გახდებიან; მაშასადამე, საჭიროა მისი მოახლოვება; მაგრამ თუ სვლა მეფით იქნა გაკეთებული, შავები მაშინვე პაიკს ფიგურად აქცევენ. პირველი ამოცანა თეთრებისა ისაა, რომ შავებს ამის საშუალება არ მისცენ, ეს კი შესაძლოა ქიშების გამოცხადებით; მაგრამ თუ დაუსრულებლივ ქიში გამოეცხადა მეფეს, მაშინ ხომ მუდმივ ქიშს მივიღებთ და თამაში ფათად ჩაითვლება. ამიტომ თეთრები ქიშის საშუალებით იმას უნდა ცდილობდენ, რომ შავი მეფე დროდადრო იმ უჯრაზე მიაგდონ, სადაც პაიკს ლაზიერად გადაქცევა შეუძლია, ამ შემთხვევაში e 1-ზე; ამასობაში მოიგებენ დროს და თეთრ მეფეს წინ წამოსწევენ. აი ამის პრაქტიკული ნიმუში:

1. ლ a 8 - d 5+ მ d 2—e 3
2. ლ d 5—e 5+ მ e 3—d 2
3. ლ e 5—d 4+

შავი მეფე გაურბის e 1-ს, რადგანაც, როგორც კი ამ უჯრაზე დაჯდება, თეთრები მაშინვე მეფეს წამოსწევენ ამიტომ

3. . . . . მ d 2—c 2
4. ლ d 4 - e 3!

ამ სვლით თეთრი ლაზიერი პაიკს ემუქრება და შავ მეფეს აიძულებს მის დასაცავად d 1-ზე დადგეს, რის შემდეგაც e 1-ზე უნდა მოვიდეს.

4. . . . . მ c 2—d 1
5. ლ e 3—d 3+ მ d 1—e 1

ახლა თეთრებს შეუძლიათ ერთი წუთით დაასვენონ ლაზიერი და თავისი მეფე ერთი ტურით წინ წამოსწიონ:

6. მ h 8—g 7 მ e 1—f 2

კიდევ ლაზიერი უნდა ამუშავდეს და თავისი მეფის წინ წამოსაწევად კვლავ უნდა დასვას მოპირდაპირე მეფე e 1-ზე. ამიტომ:

7. ლ d 3—d 2 მ f 2—f 1
8. ლ d 2—f 4+ მ f 1 g 2
9. ლ f 4—e 3 მ g 2—f 1
10. ლ e 3—f 3+ მ f 1—e 1
11. მ g 7—f 6 მ e 1—d 2
12. ლ f 3—f 2 მ d 2—d 1
13. ლ f 2—d 4+ მ d 1—c 2
14. ლ d 4—e 3 მ c 2—d 1
15. ლ e 3—d 3+ მ d 1—e 1
16. მ f 6—e 5 მ e 1—f 2
17. ლ d 3 - d 2 მ f 2—f 1
18. ლ d 2—f 4 მ f 1—g 2
19. ლ f 4—e 3 მ g 2—f 1
20. ლ e 3—f 3+ მ f 1—e 1
21. მ e 5—e 4 მ e 1—d 2
22. ლ f 3—e 3+ მ d 2 - d 1
23. ლ e 3—d 3+ მ d 1 - e 1
24. მ e 4—e 3 მ e 1—f 1
25. ლ d 3 : e 2+

და შამათი უკვე უზრუნველყოფილია.

თავში ვთქვით, რომ ეტლისა და მხედრის პაიკის წინააღმდეგ ლაზიერი უღონოა შამათი გაუკეთოს მოპირ-




დიაგრამა № 1.

დაპირეს, თუ პაიკი მე-2-ე ან მე-7-ე რიგზეა და ლაზიერის მეფე ახლო არა ზის, მიტომ რომ ძლიერ მხარეს საშუალება ერთმევა დრო მოიგოს პაიკის წინ მეფის დასმით და ამასობაში თავისი მეფე წინ წამოსწიოს.

**შამათი ეტლით პაიკის წინააღმდეგ.** როდესაც ერთ მხარეზე მეფე და კუა, ხოლო მეორე მხარეზე—მეფე და ეტლი, თამაში უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდება. არის იშვიათი გამონაკლისი, როდესაც ეტლი ასეთ შემთხვევაში იგებს. საშამათო პირობები შემდეგი უნდა იყოს: სუსტი მხარის მეფე განაპირა რიგზე უნდა იყოს განდევნილი; ძლიერი მხარის მეფე ოპოზიციაში უნდა იდგეს, ხოლო კუ არ უნდა ემუქრებოდეს იმ ფერის უჯრებს, რომელზედაც ძლიერი მხარის მეფე ზის. აქ ეტლი იგებს კუს მოკვლითა და შემდეგ შამათის გამოცხადებით.

უფრო ძნელი და უფრო იშვიათია შამათი ეტლით მხედრის წინააღმდეგ. საამისო პირობები შემდეგი უნდა იყოს: სუსტი მხარის მხედარი თავის მეფეზე დაშორებული უნდა იყოს, თვით მეფე ან კუთხის უჯრაზე უნდა იყოს განდევნილი, ან ნაპირა რიგზე უნდა იმყოფებოდეს, ხოლო ძლიერი მხარის მეფე და ეტლი მოახლოებული უნდა იყვნენ მეფესთან.

როგორც ვთქვით, ასეთი შამათი ძალიან იშვიათად ხდება და ამიტომ ამის მაგალითს არ მოვიყვანთ.

გადავალთ პირდაპირ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ერთ მხარეს მეფე და ეტლი ჰყავს, ხოლო მეორე მხარეს — მეფე და პაიკი. აქ მოგება-წაგება იმაზეა დამოკიდებული, თუ რანაირი პოზიციები უჭირავთ მებრძოლ მხარეებს — შეუძლია თუ არა ეტლს შეაჩეროს პაიკის წინსვლა, ე. ი. მისი ფიგურად (ლაზიერად) გადაქცევა. თუ კი ეტლს ამის საშუალება წართმეული ექნება, უკეთეს შემთხვევაში თამაში უშედეგოდ დამთავრდება, ხოლო უარეს შემთხვევაში გადიქცევა იმ ენდშპილად, სადაც ლაზიერი ეტლის წინააღმდეგ იბრძვის და, როგორც ვიცით, იმარჯებს კიდეც. რა თქმა უნდა, პაიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ეტლს მეფე უნდა ეხმარებოდეს, ისევე, როგორც პაიკს ფეხდაფეხ თავისი მეფე უნდა მისდევდეს და ყოველივე ხიფათისაგან იცავდეს.



დიაგრამა № 2.

მოვიყვანოთ გავრცელებული მაგალითი (იხ. დიაგრ. № 2). თუ პირველი სვლა თეთრებისაა, მაშინ მოგება მათ მხარეზეა, მაგრამ თუ სვლა შავებს ეკუთვნის, თამაში უშედეგოდ დამთავრდება. მოგვყავს ორივე შემთხვევა.

თეთრების მიზანია პაიკს h 7-ს საშუალება არ მისცენ h 8-ძდე მივიდეს და ლაზიერად იქცეს. შავები კი, პირიქით, სწორედ ამისკენ ისწრაფვიან; ბრძოლაც ამ ღერძზე ტრიალებს. თეთრებმა რომ პირდაპირ პაიკზე შეტევით დაიწყონ (ე b 1—h 1), ამით შავებს დროს მოაგებინებენ მხოლოდ (h 7—h 5), ამიტომ საუკეთესო სვლაა:

1. ე b 1—g 1+ მ g 4 h 5
2. ე g 1—h 1+ მ h 5—g 6
3. მ a 1—b 2 h 7—h 5
4. მ b 2—c 3 მ g 6—g 5

როგორც ვხედავთ, პაიკი მეფის დახმარებით წინ იწევს და ეტლზე საერიშოდ მიდის. თეთრი მეფეც მიიჩქარის თავისი ფიგურის დასაცავად. ბრძოლის ბედს ის გარემოება გადასწყვეტს, თუ რომელი უფრო მალე მიასწრებს, რასაკვირველია, მარტივი ანგარიში გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში გამარჯვება თეთრებისაა.

5. მ c 3—d 3 h 5—h 4
6. მ d 3—e 3 მ g 5—g 4
7. მ e 3—f 2 h 4—h 3
8. ე h 1—h 2

მეფე იძულებულია პაიკის დასაცავად h 4-ზე გადავიდეს

8. . . . . მ g 4—h 4
9. მ f 2—f 3

და თეთრებს პაიკი ეკარგებათ, ვინაიდან უნდა ითამაშონ:

9. . . . . ან h 4—h 5 ან h 4—g 5

ორივე შემთხვევაში:

10. ე h 2 : h 3.

თავდაპირველი მდგომარეობა რომ აღვადგინოთ და პირველი სვლა შავებს მივაკუთვნოთ, თამაში უშედეგოდ დამთავრდება, ვინაიდან თეთრი მეფე ვეღარ მიუსწრებს თავის ეტლს და შავი მეფე და პაიკი შეერთებული ძალით ეტლს ანადგურებენ.

1. . . . . h 7—h 5
2. ე b 1—g 1+ მ g 4—f 3
3. ე g 1—h 1 მ f 4—d 4
4. მ a 1—b 2 h 5—h 4
5. მ b 2—c 2 h 4—h 3
6. მ c 2—d 2 მ g 4—g 3
7. მ d 2—e 2 მ g 3—g 2
8. ე h 1—d 1 h 3—h 2
9. ე d 1—c 1 h 2—h 1 ლ
10. ე c 1 : h 1 მ g 2 : h 1

თამაში უშედეგოა.

მერვე სვლის შემდეგ თამაში შეიძლებოდა განვითარებულიყო:

9. ე d 1—d 8 h 2—h 1 ლ
10. ე d 8—g 8+ მ g 2—h 3
11. ე g 8—h 8+ მ h 3—g 2
12. ე h 8 : h 1 მ g 2 : h 1

და თამაში ფრეა.

ეტლის ბრძოლაში პაიკის წინააღმდეგ საინტერესოა შემთხვევა, რომელიც კუკს მოჰყავს (იხ. დიაგრ. № 3)



დიაგრამა № 3.

აქ გამარჯვება თითქმის უზრუნველყოფილია შავებისათვის, მაგრამ თეთრების მოხერხებული თამაში იხსნის მდგომარეობას და ბრძოლას უშედეგოდ ამთავრებს. პირველი სვლა შავებს ეკუთვნის.

1. . . . . f 3—f 2
2. ე h 5—g 5+ მ g 6—f 6
3. ე g 5—g 3 f 2—f 1 ლ
4. ე g 3—f 3+!

შავები იძულებულნი არიან მოუკლან ლაზიერით ეტლი, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით დაეკარგებათ ლაზიერი და პარტიას წააგებენ.

4. . . . . ლ f 1 : f 3

რის შემდეგ თეთრ მეფეს წასავალი გზა არა აქვს და იგი ფათას მდგომარეობაში იმყოფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზაფხულო გამოცანები.

### 1. მზის ლაქები.

თუ ბაღის ბილიკი დაბურულ ხეებს შორის გადის, მაშინ შეიძლება მასზე მოვახდინოთ საინტერესო ფიზიკური დაკვირვება. გზაზე ფოთლების ჩრდილები შესანიშნავ ჭსოვილებს ჰქმნიან. ამ ქსოვილებში ძნელი შესამჩნევი არაა სისწორე: ყველა ნათელი წერტილი რგვალია. ასეა თუ არა ეს? შეამოწმეთ, დააკვირდით.

დაკვირვების შემდეგ დაფიქრდით ამ საკითხზე: რის გამოა ეს. ნუთუ ყველა ადგილი ფოთლებს შორის, რომელშიაც მზის სხივები მიძვრებიან, რგვალია? რასაკვირველია, არა, ამ ფოთლებს შორის ადგილებს სხვადასხვაგვარი ფორმა აქვთ.

რომ სწორედ უპასუხოთ ზემოთ დასმულ საკითხებს, გააკეთეთ შემდეგი ხასიათის ცდა: ერთი ფურცელი ქაღალდი ქინძისთავით გაჩხვლიტეთ. დადგით მაგიდაზე ანთებული სანთელი, მის წინ ქაღალდი ჭუჭრუტანათი, მის უკან კი თეთრი სუფთა ქაღალდი. შეცვალეთ ცდა ამგვარად: ქაღალდზე გამოსჭერით დანით პატარა სამკუთხედი და ისევ გააკეთეთ ცდა.

რა მოხდება?

### 2. დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნა.

თქვენ მიდიხართ ტყით და დროგამოშვებით გესმით რაღაც ხმები—ერთი, მეორე, მესამე. თუ თქვენ დაკვირვებული ხართ, ხშირად შეიძლება შეამჩნიოთ, რომ ხეებიდან ცვივიან ყოველგვარი მწერები, პატარა ხოჭოები და სხვა.

გამოიკვლიეთ ეს მოვლენა.

იპოვეთ რომელიმე მწერი და შემდეგ ჩამოაგდეთ იგი 1,2,3 მეტრის სიმაღლიდან მიწაზე. დაიმტვრევა იგი? რასაკვირველია, არა, რადგან ასეთი ჩამოვარდნა ხოჭოსათვის არაა სახიფათო. მაგრამ ისმება საკითხი: რათ არ არის სახიფათო?

გაზომეთ თვალით, მასზე რამდენჯერ უფრო დიდია ის სიმაღლე, რომლიდანაც აგდებთ მას. რა მოხდება, რომ ადამიანის ჩამოვარდნის სიმაღლე უდრიდეს მაზე მეტს, დარჩება თუ არა იგი ამ შემთხვევაში ცოცხალი?

უდაოა, არა.

მაშ რათ არ კვდება ხოჭო, რომელიც ვარდება მასზე შედარებით დიდი სიმაღლიდან?

### 3. წვიმის წვეთები.

თუ მოსაწყენია სახლში ჯდომა წვიმის დროს, მაშინ შეიძლება გაერთოთ: რომელიმე ფიზიკური ცდა გააკეთეთ. მართლაც და, სცადეთ გამოიკვლიოთ ასეთი საკითხი: რისთვის გვეჩვენება ჩვენ წვიმის წვეთები ცვენის დროს გრძელ ან განზე გადახრილ ძაფებად?

შეეცადეთ თვითონ მიიღოთ წვეთები ცდის საშვალებით. სველი ტილო მოსრისეთ ხელში. რანაირ ფორმას მიიღებს თქვენი წვეთები? სცადეთ სწრაფად თვალის გაყოლება მათ ცვენაზე.

სცადეთ ბნელ ოთახში ნაკვერჩხალის სწრაფად ტრიალი, რას შეამჩნევთ და რის გამო? როგორ შეიძლება დაუკავშიროთ ამ მოვლენას ის, რაც შეამჩნიეთ წვიმის წვეთების ცვენაში. რათ გვეჩვენება ჩვენ წვეთები გრძელი და ალმაცერი?

მაგრამ აი კიდევ კითხვა:

წვიმის წვეთები იქმნებიან საკმაო სიმაღლეზე, დაახლოვებით ერთი კილომეტრის სიმაღლეზე და ასეთივე სიმაღლიდან ვარდებიან.

მიუხედავად ამისა, მექანიკის კანონები ამტკიცებენ, რომ წვიმის წვეთები ასეთ სიმაღლიდან ძირს თავისუფალი ვარდნის დროს მიწაზე დაეცემოდენ 140 მეტრის სიჩქარით წამში. რომ გამოვითვალოთ ეს სიჩქარე საათებზე, მივიღებთ დაახლოვებით ოთხას ვერსს საათში. წვეთების ასეთი სიჩქარით ცვენის დროს საშიშარი იქნებოდა წვიმის ქვეშ მოხვედრაც. აღსანიშნავია, რომ წვეთების ასეთი სიჩქარით ვარდნიდან შეიძლებოდა განსაზღვრული ენერგიის მიღებაც.

მართლაც, გამოცდილება არკვევს, რომ ერთი წვეთი, რომლის სიმძიმე დაახლოვებით იქნება $^1/_{05}$ გრამი და ასეთი წონის 150 წვეთის ენერგია შეადგენს ერთი 25-ძალიანი ელექტრონის სანთლის ძალას.

მიუხედავად ამისა, წვიმაში შეიძლება თავისუფლად სიარული. რაშია საქმე?

ან მექანიკის კანონები არაა სწორი, ან არაა რაღაც მხედველობაში მიღებული. აი გამოცანა, რომლის შესახებ შეიძლება ფიქრი, როცა წვიმაა. ამ გამოცანის ახსნის გასაადვილებლად შეიძლება მოხმარებულ იქნეს შემდეგი ცდა: გამოსჭერით ქაღალდზე ერთი შაურიანის ოდენა წრე. სხვადასხვა ხელიდან დაუშვით ერთსადაიმავ დროს შაურიანი და ეს ქაღალდის წრე. შემდეგ დაადევით წრე ფულზე და ისე ჩამოაგდეთ. გამოიცანით პირველად ეს ცდები და შემდეგ გადადით წვიმის წვეთების მაგალითზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოდის 1928 წ. გამოდის

## ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული ჟურნალი

მოზრდილთათვის

# პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის საპალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

## პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

| | |
|---|---|
| წელიწადში | 5 მან. |
| ექვს თვეს | 3 მან. |
| სამ თვეს | 1 მან. 50 კაპ. |

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პიონერი"-ს და „ოქტომგრელი"-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტ № 1105. შეკვ. № 1062. ტირაჟი 1000.